ვახტანგ ჭანკოტაძე




ვახტანგ ჭანკოტაძე

# მხიარული რითმები

(მეორე გამოცემა)

თბილისი
2007



# ვახტანგ ჭანკოტაძე

## მინიავტობიოგრაფია

მირჩიეს, მოკლე ბიოგრაფია წაუმძღვარე შენს "წიგნს", მოუხდებაო. მეც, ბავშვობიდან ვარ შეჩვეული სხვათა რჩევა-დარიგებების მოსმენას და საჭიროების შემთხვევაში – შესრულებას. ბავშვობა კი გავატარე ქ. თელავში, სადაც დავიბადე კიდეც ჩემი სურვილით, 1933 წელს, მოსამსახურის ოჯახში.

ძნელი არ არის, იმის მიხვედრა, თუ რომელ წლებში მომიხდა სკოლაში სწავლა. ქვეყანაში მძვინვარებდა შიმშილი, სიცივე, სიბნელე. არა, არა, დღევანდელობაზე არ გელაპარაკებით. მაშინ იყო ასე, ოცდაათიანი წლების ბოლოს და ორმოციანი წლების დასაწყისში.

შიმშილი მაინცდამაინც არ მაწუხებდა, უფროსები შიმშილობდნენ და თუ რამ ჰქონდათ, ჩვენ, პატარებს გვაჭმევდნენ.

ბავშვობაში რა მიყვარდა? რა და ლახტი, "რგვალი ვირი", "ჩილიკაობა", ფეხბურთი და შაქარყინული.

ჰო, მართლა, სწავლაც მიყვარდა, მაგრამ რაში და რითი უნდა გვესწავლა, ეს იყო საკითხავი. წიგნი რომ წაგეკითხა, თვეობით უნდა მდგარიყავი რიგში. რვეულს აღარ იკითხავთ? ისეთ ფურცლებზე ვწერდით, რომ ხშირად გვიხდებოდა ხოლმე ხის ხიჭვების გამოძრობა ფურცლიდან. რადგანაც ე.წ. "რონდო" და "სემიჩკა' კალმისწვერები ("პეროები") ხან იქ წაერჭობოდნენ ხოლმე და ხან აქ. ცარცი ხომ მართლაც დიდი პრობლემა გახლდათ. თელავის მახლობელ ტყეებში, თიხანარევ ნიადაგში ვპოულობდით ხოლმე რაღაც თეთრ ქვებს და იმით ვჯახირობდით. ერთი კი იყო, რომ ამ ქვების ძებნისთვის გაკვეთილის ოფიციალური გაცდენის უფლებას ვღებულობდით.

ასე იყო, თუ ისე, დავამთავრე საშუალო სკოლა და ისე კი არა, უბრალოდ, არამედ ოქროს მედლით და ეს გახლდათ თელავში გაცემული პირველი ოქროს მედალი.

მერე კი დავამთავრე რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, ზოგი დასწრებულად, ზოგიც დაუსწრებლად. მაქვს სამეცნიერო ხარისხი, მედლები, ჯილდოები, პრიზები, სიგელები, დიპლომები და კიდევ ჰობი – მიყვარს (მეგობრებში პურმარილის, სიმღერისა და ფეხბურთის გარდა) ოჯახში ჩხირკედელაობა. ჰო, კიდევ მიყვარს ლექსები, რომლებიც ჩემს მომავალ მეუღლესთან ერთად შევიყვარე.

მყავს ორი ვაჟიშვილი, ოციოდე ახლო ნათესავი, ათიოდე მეგობარი და ხუთიოდე საუკეთესო მეზობელი, ნაცნობები კი უამრავი.

"კაროჩე", "მორჩა კინო" – დამთავრდა მინიავტობიოგრაფია, ახლა მიხედეთ საქმეს. წაიკითხეთ, რასაც გთავაზობთ, მხოლოდ რას გთავაზობთ ნაღდად არ ვიცი. ეს არც რომანია, არც მოთხრობა, არც პოემა... მოკლედ, თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, რასთან გაქვთ საქმე.

ისე კი გეტყვით, რომ შიგადაშიგ თუ გაგეცინებათ, ან თუნდაც გაგეღიმებათ – დიდად მოხარული ვიქნები და ჩემგანაც "სტოპრო" მადლობას დაიმსახურებთ.

## ავტორისაგან

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ რასაც მკითხველს ვთავაზობ, არ გააჩნია ლიტერატურული ნაწარმოების პრეტენზია.

ცხოვრებაში ბევრ სიძნელეს შევხვედრივარ და თითქმის ყოველთვის გადამილახავას მეტნაკლები წარმატებით.

და აი, ერთხელ კიდევ დავდექი ბარიერის წინ, რა დავარქვა სახელად მასალას, რომელსაც თქვენ გთავაზობთ წასაკითხად?

ეს არ არის რომანი, მოთხრობები, ნოველები ან პოემა. არც შაირია (არ ჩანს მოპაექრეს გამომწვევი ნიუანსები, და არც მისი რეაქცია), არც ლექსებია (თუმცა რაღაც უმნიშვნელო შტრიხებით გვანან მათ), არც ეგრეთწოდებული "ენაფხიანასთან" გვაქვს საქმე, რადგან ეს ორპწკარიანი წყობები ტვინს უფრო ფხანს, ვიდრე ენას. არც აკროსტიქია, არც მაჯამა, მაშ რა ჯანდაბაა?

თუ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დავუჯერებთ (რა უფლება გვაქვს არ დავუჯეროთ!) წარმოდგენილი მასალა უფრო წააგავს კაფიას, იგივე ექსპრომტს, ანუ სახელდახელოდ, წინასწარი მომზადების გარეშე წარმოთქმულ ლექსს.

მე მაინც თავი დავიზღვიე და ჩემი მრავალი წლის ნაჯახირებს "მხიარული რითმები" ვუწოდე.

იმედს გამოვთქვამ, რომ დღევანდელ სოციალური სიდუხჭირით დამძიმებულ პირობებში "მხიარული რითმები" ერთხელ მაინც მოგგვრით ღიმილს და ოდნავ, მაგრამ მაინც გაგრძნობინებთ თუნდაც მინიმალურ შვებას.

ასევე შესაძლებლად მიმაჩნია "მხიარულმა რითმებმა" გარკვეული სავარჯიშოს როლი ითამაშოს მათთვის ვინც წერს, ან მომავალში აპირებს ლექსების წერას რითმისა და რიტმის შეგრძნების უნარის გამომუშავებისა და განმტკიცების საკითხებში.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყოველ არგუმენტირებულ რჩევას, შენიშვნას და კრიტიკას, როგორც მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საწინდარს.

## რედაქტორისაგან

წაკითხული მაქვს, ალბათ ათეულათასობით ლექსი და შეასაბამისად შევხვედრივარ და თვითონაც მომინახავს, შემითხზავს და ''გამომიძერწავს'' ასეულათასობით რითმა, ისე რომ ნიშანდობლივად მეჩვენება ''მხიარული რითმების'' ავტორის, ვახტანგ ჭანკოტაძის სიტყვები: ...შესაძლებლად მიმაჩნია ''მხიარულმა რითმებმა'' გარკვეული სავარჯიშოს როლი ითამაშოს მათთვის ვინც წერს, ან მომავალში აპირებს ლექსების წერას''-ო. იმედს გამოვთქვამ, რომ ასეც იქნება.

ავტორი გაუბედაობას იჩენს თავისი ნამოქმედარისთვის სახელწოდების შერქმევისას, არა და საქმე გვაქვს კაფიებთან და არა აქვს მნიშვნელობა წინასწარი მომზადების პირობებშია ისინი დაწერილი, თუ ექსპრომტად.

მნიშვნელოვანია სხვა რამ, ერთი ადამიანის მიერ ამდენი კაფიის დაწერა და თავმოყრა საკმაო სიძნელეებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ეს არ არის ლექსი, რომ იდეა მოგივიდეს, გონებაში ჩონჩხი წარმოიდგინო, მერე კი დაჯდე და შენხელთარსებული, უფრო სწორად, თავში კონცენტრირებული ტექნიკური არსენალის გამოყენებით დაწერო ესა თუ ის ლექსი.

კაფიების დასაწერად, მართლაც ვერ მოემზადები სპეციალურად. კაფიის დაწერა უნდა გიკარნახოს შექმნილმა სიტუაციამ, მოვლენათა განვითარებამ, ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებულმა ნიუანსმა, გვარის, სახელის, მეტსახელის, რაღაც უხილავმა შტრიხმა ამა თუ იმ პიროვნებასთან, მომხდარ ან მოსახდენ ამბავთან მიმართებაში და ა. შ.

დიდი რუდუნება გამოუჩენია ავტორს რათა შეენახა, მოეგროვებინა და გარკვეულად დაელაგებინა წლების განმავლობაში ქაღალდის ნაგლეჯებზე, სიგარეტის კოლოფებზე, ხელსაწმენდებზე და ზოგჯერ ხელისგულებზეც კი მიწერილ-მიჩხაპნილი ორპწკარიანი ''ლექსები''-კაფიები, იმისათვის, რომ დაბადებულიყო ''მხიარულ რითმებად'' წოდებული წინამდებარე კრებული.

კაფიებში ასახულმა ყოველდღიური ცხოვრების სფეროების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ, კიდევ ერთი სიძნელის წინაშე დააყენა ავტორი – როგორ დაელაგებინა, რანაირი თანმიმდევრობისათვის მიენიჭებინა უპირატესობა, რა პრინციპით დაეჯგუფებინა მხიარული რითმები? ქრონოლოგიურ დათარიღებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა (ლექსი სულ სხვაა, მასში ისახება ავტორის სულიერი განწყობა, მიზნებისა და შეხედულებების მეტამორფოზი დროის სხვადასხვა მონაკვეთზე და სხვა). არც ანბანური დალაგება მოუტანდა ავტორს რაიმე დივიდენდებს, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჯერ ''ა''-ზე დაწერილს წაიკითხავდა კაცი და მერე ''ტ''-ზე, თუ პირიქით.

ჩემი აზრით, ავტორმა მიაგნო ორიგინალურ გამოსავალს, კაფიები (მხიარული რითმები) დააჯგუფა და განალაგა რიტმის (კითხვის მუსიკალური ჟღერადობის) მიხედვით და ჯგუფებს შორის მოათავსა ასევე ღიმილისა და სიცილის მომგვრელი სურათ-ნახატები. ამ გზით ავტორი ცდილობს იმას, რომ უსიტყვოდ, ყოველგვარი მითითების გარეშე, ერთი ჯგუფის წაკითხვის შემდეგ შეგაჩეროს და მოგცეს ''ამოსუნთქვის'' საშუალება. ცდილობს შეგისუსტოს წინა რიტმის შეგრძნება და შენდაუნებურად მოგამზადოს მხიარული რითმების ახალი ჯგუფის წასაკითხად, რომელსაც სულ სხვა რიტმი ანუ მუსიკალურობა გააჩნია.

მისასალმებელია ასეთი არაორდინალურობა, ''მხიარული რითმები'' არ არის თავისუფალი ''ნაკლოვანებებისგანაც'', როგორიცაა ზოგ შემთხვევაში: დროისა და სივრცის შეუსაბამობა, რეალობიდან გადახვევა თვით უკიდურეს ფანტაზიამდე, ლიტერატურულ-გრამატიკული მცირედი გადახრები, მართლწერის უმნიშვნელო ლაფსუსები და სხვა, მაგრამ გათვითცნობიერებული მკითხველისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ კაფიების ჟანრი ადვილად იტანს ამგვარ ცდომილებებს, აკი ავტორი თავადაც ამბობს: ''მხიარულ რითმებს'' არ გააჩნია ლიტერატურული ნაწარმოების პრეტენზია''-ო.

ვუსურვებ მკითხველს დროებით მაინც მოწყდეს ყოველდღიური უკუღმართობით დამძიმებულ სამყაროს.

აკაკი ბიძინაშვილი







*

აფრიალებს დასტა ფულებს,
პეტერბურგში დასტამბულებს.

*

უნდა ჭამო კალციუმი,
რომ არ იყო კაცი უმი.

*

ააშენა მონასტერი,
მაინცა ჰყავს მონას მტერი.

*

არ აჩვენეს ბაზილიკა,
ლამის გასკდეს ბრაზით ლიკა.

*

დაიბოლმა სოფრომაძე,
იჭორავა სოფომ მასზე.

*

კითხვასა სვამს კაჭარავა,
რავა არის რაჭა, რავა?!

*

საჭეს მართავს პავაროტი,[1]
უცბად განვლო "პავაროტი".

*

გააცხელებს ფართო ფილებს,
და ზედ შეწვავს კარტოფილებს.

*

ოსტატია პროპაგანდის,
მოყვრობაც და მტრობაც გასდის.

*

სიტყვა მისცეს ამაღლობელს,
ყანწითა სვამს სამადლობელს.

*

ისე დადის ფაჩულია,
თითქოს ფოთლის ფაჩუნია.

*

ძუნწი არის საურმაგი,
არ დახარჯავს შაურს მაგი.

*

კონცერტი ჟღერს კამერული,
მოერია კალეს რული.

*

რა მსხალია "კაიფერა",[2]



მჭამელი წყლით გაიბერა.

*

თუ სად მღერის ელვის პრესლი,[3]
ცნობას ყველა ელის პრესით.

*

მიგვიწვიეს თორტიზაში,[4]
შეგვეჭამა ტორტი გზაში.

*

კონცერტს ვმართავთ ტაშისკარში,[5]
ხალხი დაწყდა ტაშის კვრაში.

*

ორთაჭალის სამი კინტო,
შეეჩვია სამიკიტნოს.

*

წყლის ამღები ოწინარი,[6]
დააფასეს ოცი ლარი.

*

კარგი მათემატიკოსი
არის ქმარი მათიკოსი.

*

ახლა ტუბერკულიოზი,
სულ არ არის კურიოზი.

*

მილედს ეძებს არამისი,[7]
სხვისია და არა მისი.

*

უთავაზეს ალიყური,
გაუსივდა ცალი ყური.

*

ერთხელ მღერის თურმე გედი,
დაჰყოლია მრუდე ბედი.

*



გლეხს საშრომლად ერგო ბარი,
განუყრელი მეგობარი.

*

ყველას პირზე აზის ბურთი,
რუსია თუ არის ქურთი.

*

რა გინდოდა ტოკიოში,
მთიანსა და ნოტიოში.

*
ლექსებს ეტრფის მკრტიჩიანი,
შეუყვარდა ტიციანი.
*
თუმც ჰკიდია პატრონტაში,
შიში უვლის პატრონს ტანში.



*
რომ არ მოგწონს
მაგისტრალი,
სულ არ არის მაგის ბრალი.
*
აზრი არის გავაშელის,
რომ ცხენს კოხტა გავა
შვენის.
*
გვარად არის ლაუდრუპი,
ვინც იპოვა ფრაუს “ტრუპი”.
*
ყველა აქებს ავტოფარეხს,
ის არ მოსწონს მარტო
მარეხს.
*
პომიდორი გარდაბნისა,
ყველას უყვარს გარდა ძმისა.
*
დიდ შენობებს მაროკოსი,[8]
სტილი გასდევს ბაროკოსი.
*
ჩავამთავრეთ მარათონი,
ფოტოსათვის კმარა ფონი.
*
ცუდად შემხვდა მანჩესტერში,,
ავერიე მას მე მტერში.
*
მსხალი უყვარს “ხეჭეჭურა”
თუმც ვერ ადის ხეზე ტურა.



*
დაასწრებდა მანამ სერგო,
თავის დაკვრა, საბას ერგო.
*
მიმოავლო საბამ თვალი,
ვერ იპოვა სამართალი.
*
მეზობელმა მასახელა,
მიტო ჰქვია მას სახელად.
*
წაიკითხა “რეზონანსი”,
და გატეხა რეზომ ნავსი.
*
დაგვიღონდა გარეგინა,
შეახვედრეს გარე ბინა.
*
ვერ კაიფობს ნარკომანი,
დღეს მიიღო მარტო მანი.
*
ფეხბურთელი რავანელი,
ყოფილაო რავა ნელი.
*
თოკით მისდევს კვაზიმოდოს,[9]
ცდილობს ფეხში კვანძი
მოსდოს.
*
ამაყობენ კაიზერით,[10]
ყველა უცქერს კაი მზერით.
*
წყალი სურდა თათარაშვილს,
გამოართვა მათარა შვილს.
*
ბოლმა ახრჩობს ჭიაურელს,
ბაღში კენკრას ჭია ულევს.
*
გობს აკეთებს ხეთაგური,
გამოღრუტნა ხეთა გული.
*
ადრე ადგა ფარსადანი,
ცხვარ-ბატკანი პარსა დანით.
*
ტრაურშია ოკლაჰომა,[11]
ჯეკ პეტერსმა მოკლა თომა.
*
განსჯა მიდის სურამელის,
გამართლებას სულ არ ელის.



*
“სროკს” იხდიდა გომართელი,
და მოჰკიდა ყომარს ხელი.
*
ნეტავ რას გავს ლეხ ვალენსა,
ცხვირი თითქოს გლეხმა ლესა.



*
ჩაულეწავ “გაბარიტებს”,
თუ დროზე არ გამარიდებს.
*
მთელ შენობას აზანზარებს,
თუ შემოჰკრა აზამ ზარებს.
*
შველა უნდა საქართველოს,
შეგვიგდებდნენ სანამ ლელოს.
*
არ სჭირდება დისკუსია,
რომ ჯავშანი ზღვის კუსია.
*
დაეწევა ფოსტალიონს,
თუ გაცურავს კოსტა რიონს.
*
კვალს ვერ ვდიეთ სალამანდრის,
ნისლი იდგა სანამ ავდრის.
*
შეუკეცეს კალთა ნიკოს,
ასე სურდა კათალიკოსს.
*
ხელს ვინც ახლებს მეზობლის
ქალს,
რქებს დაადგამს მელოტ მის ქმარს.
*
მიმკითხავეს ახტალაში,[12]
ახლა ვფიქრობ, ახდა რაში?



*
ქსელში ჩართეს ჯეოსელის,
საჭუკჭუკოდ ლეოს ელის.
*
პოსტი მისცეს ლუკაშენკოს,
ახლა თუნდაც “მუკა” კენკოს.
*
თავი უდევს რაულს სკაში,
ფუტკრებს იჭერს “ლავუშკაში”.
*
მოირბინა ლამისყანა,
გადათელა ლამის ყანა.
*
ექიმებმა მანჩესტერში,
კოხის ჩხირი ნახეს მტვერში.
*
გაიხარეს ექიმებმა,
პაციენტს, რომ ელიმება.
*
როგორა ხარ სილიბისტრო?
ხომ მუშაობს ტვინი “ბისტრო”.
*
ეტლში ლაღად ზის ტეტჩერი,
იქვე უზის დისპეტჩერი.
*
დილაობით კოფი ანანს,
მიართმევენ კოფეს, ბანანს.
*
კვლავ ურჩევენ ნაზარბაევს,
მიაკითხოს ნადარბაზევს.
*
ჩაიძირა “ალბატროსი”,[13]
ვერ მოასწრეს ალბათ შ შ-ი.
*
ძლიერ მოსწონს სერაფიონს,
როგორ უვლის ჰერა პიონს.
*
ერთ-ერთ ბოგანს — სხვათა შორის,
სუნი ასდის ზღვათა შმორის.
*
ბუდედ ჰქონდა საროსკიპო,
დაემართა საშოს კიბო.
*
ღვინო შესვა საბამ სურით,
არც უკითხავს საფასური.
*
ბოძი “გრუნტში” მაგრად რომ ზის,

მიღწევაა კალატოზის.
*

ეჯიბრება შატობრიანს,[14]
აზიანებს შაქრო რვიანს.
*

ცივ ზამთრობას გუმისთაში,[15]
გახვალ როგორც გუბის ტბაში.
*

ფულიან ბეჟანაშვილებს,
კანონი ველარ აშინებს.
*

ბუჩქებხშირი სანაპირო,
ადგილია სანადირო.
*

მთელი დღე სვამს მიკიტანი,
რუმბს წააგავს მისი ტანი.
*

საქულა გვყავს საქმიანი,
ბიზნესი აქვს სარფიანი.
*

დღეს ბულბული დარდიმანდობს,
გულის ნადებს ვარდი ანდობს.
*

როგორც ვამჩნევ ბალაკირევს,[16]
დღეს სიმღერას არ აპირებს.
*

მიწა უყვარს დარჯანიას,
შეალია რაც ჯანი აქვს.
*

რომელია კარგი ნუში,
ვერ მოსულა აინუნში.
*

თავს დაესხა ველისციხეს,[17]
ახლა ზის და ელის ციხეს.
*

გაისტუმრა გუჯა ვანში,
თვითონ დარჩა გურჯაანში.
*

მომპარავი თითო ნესვის,
ქურდი არის თითქოს ნემსის?



*

ეს ხელია საშიშარი,
საჭიროა "შაში-ჩარი".
*

აფრთხილებენ კარტოზიას,
გაყენებსო კარტი ზიანს.
*

მაშინ უქეს ნაკელს მადლი,
როცა მასში ნახეს მატლი.
*

ნახე, გოგოს რა ტანი აქვს,
ხომ გაგონებს ლატანიას?[18]
*

ვერ მიუდგნენ სათოფეზე,
ამძვრალიყო საქო ხეზე.
*

ქვეყანაზე სად არ მყავდი,
მაინც გიჯობს სამარყანდი.
*

გაახარეს კარდინალი,
ცხენს მოურგეს კარგი ნალი.
*

მიაშურეს არგენტინას,
კლიმატიო არგებს თინას.
*

სურს კვლავ გავდეს ტომსოიერს,
ინარჩუნებს "პროსტო" იერს.
*

აჩხრიალდა პირსაბანი,
უნიტაზმა მისცა ბანი.
*

ფილმი არის ჰოლივუდის,
ყველა ბინას ბოლი უდის.
*



ღამე იყო მთვარიანი,
წავიკითხე ქვარიანი.
*

მიწის ხვნაში გაიხარებს,
ვინც გამოზრდის კაი ხარებს.
*

ტრიოა თუ კვარტეტია,



ვერ გებულობ – ხარ ტეტია.
*

კვლავ მოიგეს "ბასკეტბოლი",
აადინეს ბასკებს ბოლი.
*

პატივს სცემდნენ მაფიოზებს,
რიდი ჰქონდათ მათი ბოზებს.
*

ბედი სწყალობს კაფელნიკოვს,
მუდამ უგებს კახელ ნიკოს.
*

გარჯა ადგათ სნაიპერებს,
წარმატებებს სხვა იფერებს.
*

გაუფუჭდათ პროცესორი,[19]
მოიწვიეს პროფესორი.
*

სპექტაკლია კლასიკური,
მას სჭირდება ასი ყური.
*

ფეხმძიმეა მარტინესი,
მოინდომა მარტში ნესვი.
*

მოიხიბლა ნატანებით,
იქ გათხოვდა ნატა ნებით.
*

მიფრინავდა ტრაპიზონში,
მიაგორეს ტრაპით ზოლში.
*

მიხომ ნახა კაი "სონი",
რინგზე დასცა ტაისონი.
*

ყანწით სვავდა შერვაშიძე,
ყველა დათვრა – შერჩა სიძე.
*

არ აწუხებს ლურსმანაშვილს,
რა აჭამოს რუსმა რვა შვილს.
*

ბუჩქში მელა გარინდულა,
მიუშვირა გარიმ ლულა.





*

შოთებს აკრავს მარა თონეს,
ვახშმად ელის მარათონელს.
*

გრიპი შეხვდა ბასილაშვილს,
და გადასდო ბაცილა შვილს.
*

ფქვილი მისცეს გომიაშვილს,
მოუზილა ღომი რვა შვილს.
*

მომწყობია სარბიელის,
სჯერა დიდი სარფი ელის.
*

წაბარბაცდა შუმახერი,
მიაშველა შურამ ხელი.
*

ხელი აიღო კატამ მარანზე,
ახლა თაგვს იჭერს კატამარანზე.[20]
*

ღუმელს წმენდნენ ანანურში,
თითი ჩაყო ანამ მურში.
*

შრომა უქეს ჭავჭავაძეს,
გამოწურა ჭაჭა ვაზებს.
*

დაიცალა სანამ ხულო,[21]
სახლი ჰქონდა საზაფხულო.
*

სპექტაკლს უცქერს ანაპაში,[22]
არ მოაკლო ანამ ტაში.
*

გამოეწყო სათანადოდ,
ემზადება სათამადოდ.
*



ჩხუბი ატყდა პეტერბურგში,
კეტი მოხვდა პეტრეს ზურგში.
*

ღორი მღვრიე გუბეს ნატრობს,
თხოვნას უთვლის გუბერნატორს.
*

ემდურიან ბალაკირევს,

ვერ ასრულებს დანაპირებს.
*
დარდი მოჰკლავს სამანიშვილს,
ჭკვა ეწვევა სანამ მის შვილს.
*
მუშაობენ შთაგონებით,
ტვირთს ჰგზავნიან "ვაგონებით."
*
დღეს არ ახსოვთ სალიერი,[23]
მუსიკას აქვს სხვა იერი.
*
დღესაც ფიქრობს მამალაძე,
გააბრაზა მამა რაზე?
*
დღესაც უკვირს კარტოზიას,
რით გვაყენებს კასტრო ზიანს.
*
დააკავეს ასტრახანში,
შიშისაგან გასცრა ტანში.
*
გაიხსენა წინანდალი
იქ ცხოვრობდა წინათ დალი.
*
ოსტატია თეატრისა,
ითამაშა ბეატრისა.
*
ამბავს ყვება ჭიჭიკია,
თითქოს ჩიტის ჭიკჭიკია.
*
ცოლადა მყავს ქალი მარო,
სანაქებო ქმარი ვარო.
*
მომცრო ქვევრში წვენი მღერის,
საამაყო ჩვენი ერის.
*
გადავბარე მინდორ ველი,
მომავალსაც მიტომ ველი.
*
ნუ გიზიდავს საიქიო,
აქ გერჩივნოს სამი კიო.[24]





*
ვეფხვი მოკლეს ინდოეთში,
ჩაიტანეს იგოეთში.
*
გაუუქმეს გუბერნია,
მერე აღარც “უბერნია”.
*
ბრაკონიერ ღვინჯილიას,
სამი წელი მისჯილი აქვს.
*
დაურეკა ბერიკაშვილს,
ტელეფონით ელის კავშირს.
*
ოცდამერვე საუკუნეს,
სხვა შეხვდება, სხვა უყურებს.
*
გამოაცხო სეფისკვერი,
გადაჰკრავდა ზეთის ფერი.
*
დიდი საქმე კალანდაძემ,
მიიყვანა გალანძღვამდე.
*
ბლომადა სვეს “ოჯალეში”[25]
და ჩავარდნენ ოჰ, რა დღეში.
*
გადმოვიდნენ ალავერდი?!
ყანწით შესვი, არა ვედრით.
*
ხმა მომესმა ჩაიდანის,
ათუხთუხდა ჩაი განის.
*
უნდა იყო მუშკეტერი,
ვერ გიქნევდეს მუშტებს მტერი.
*
ხომ მოირგე სავარძელი,
უფრო “ზევით” სავალს ელი?
*
ალექსანდრე კავკასიძე,
ღამბაშიძის გახდა სიძე.
*
დილით შრომობს ბოლნისელი,



მზის ამოსვლას როდის ელის.
*
მღერის ძლიერ ბარიტონით,
სურგულაძე ხარიტონი.
*
სასმელს უშვებს ვაზიანი,[26]
ტკბილია და გაზიანი.
*
ჩიტი ბუდეს იქ იკეთებს,
სადაც ბარტყი ისიკეთებს.
*
ახალგაზრდა მედიკოსი,
ქმარი არის მედიკოსი.
*
მას არ მოსწონს ფინტი მესხის,
რადგან სხვისგან ფინთი ესმის.
*
კვლავ იწვევენ სიდონიას,
თუ უკრავენ სიმფონიას.
*
კუნძულია ბარბადოსი,
პატრონი ჰყავს ბარბაროსი.
*
მას ეძახიან შარლოტას,
ადვილად იღებს რვა ნოტას.
*
ძმას მოეპყრო ბანდიტურად,
დაუხია პარტიტურა.
*
დაძმაკაცდნენ ლეონიძე,
და ელამი ლეოს სიძე.
*
გაიტაცა ზღვამ ბაია,
ტალღებს ეცა ზვამბაია.
*
უმაღლესი ჭედვის დენდი,
არის ქვეყნის პრეზიდენტი.
*
არის ნაღდი პროჟექტორი,
ფულიანი პროტექტორი.





*
პრიმადონა შანტეკლერის,[27]
ორკესტრისგან ცალკე მღერის.
*
ქურდობისთვის არიზონა,[28]
სახიფათო არის ზონა.
*
ალპინისტმა ჯონი ლუნგმა,
კვლავ დაიპყრო ჯომოლუნგმა.
*
აქვს ნაქები ტუალეტი,
თავმოყვარე თუა ლედი.
*
ვენახს უხრავს ფილოქსერა,
ძნელი არის ფიდოს ცქერა.
*
ვერ დაჯაბნეს გოლიათი,
დაეჭიდა მგონი ათი.
*
რა არ ვნახე ესპანეთში,
ამერია ერთმანეთში.
*
ანსამბლია გარდაბანის,
ყველა ხმა ჰყავს, გარდა ბანის.
*
ბედი არ აქვს ჭიჭიკიას,
ბუნებრივი ნიჭი კი აქვს.
*
სწავლებაა ფასიანი,
უტვინო და ფარსიანი.
*
ძმაკაცი მყავს ყარაბაღში,
შრომობს წარამარა ბაღში.
*
ხილვა თუ გსურს კართაგენის,
დილიჟანსი კართან გელის.
*
სანგარში ზის ლანკასტერი,
პარტიზანი ვანკას მტერი.
*
გინდაც ყლაპოს ბისეპტოლი,

ვერ გახდება ბიზეს ტოლი.
*
ეჭვი შეაქვს ბუღალტერში,
ფულს მალავსო ბუსჰალტერში.
*
რომ იცნობდნენ “კაი ჩიტად”,
გალიაში “გაიჩითა”.
*
რუსეთს ახლა ჰყავს პუტინი,
მიქარვაა რასპუტინი.
*
სულ დაიბნა ორატორი,
სიტყვა ძლივს თქვა ორად ორი.
*
რომ აიდგა ლადომ ფეხი,
მოიარა ლაგოდეხი.
*
მადა ჰქონდა ბახმაროში,
ბლომად ჭამა ბახმა დოში.
*
გადაზიდა თიხა ფოთში,
გაიწურა მიხა “პოტში”.
*
ვერ პასუხობს სარდიონი,
სად მუხტია, სად იონი.
*
გამოაგდო პროსტიტუტკა,
დუნდულებში ტროსტი თუთქა.
*
ვერ დაქოქა ბულდოზერი,
ძრავს დასცქერის უნდო მზერით.
*
თავს იკლავდა შევარდნაძე,
გაეროში შევარდნაზე.
*
ბაღს უვლიდა კომისარი,
სულ დაარჭო ორი სარი.
*
დაიკავა პოლიციამ,
კაი კაცის პიზიცია.





*
აბი არჩენს მალარიას,
ფასი მგონი რვა ლარი აქვს.
*
ძნასა დგამდა შალაურში,
ჩაეყარა ჩალა ყურში.
*
კარგს აკეთებს საყვავილეს,
და ამშვენებს სხვათა ვილებს.
*
მოიარა სინგაპური,
ძლივს იყიდა ინგამ პური.
*
არ შერჩება ზერაგიას,
ცუდად ტყორცნა მზერა გიას.
*
ჟურნალისტი კალმით ხელში,
გააგზავნეს კავთისხევში.
*
არ სცალიათ სანიტარებს,
აცრის კურსებს სხვა გვიტარებს.
*
მოეწონა რახმანინოვს,
ჰქონიაო რა ხმა ნინოს.
*
შვილიშვილი ბალანჩინის,
კაცი არის მაღალ ჩინის.
*
მიტომ უყვართ დარგომიჟსკი,
ასი ხე რომ დარგო მინსკში.
*
მწვადს უკვეთავს ადილარი,
ჯიბეში აქვს ათი ლარი.
*
ფეხბურთს აგებს “შახტიორი”,
უკვე იყო ფაქტი ორი.
*
თამაშს ვუცქერ “ლუჟნიკებში”,[29]
მოვხვდი უხეშ “მუჟიკებში”.
*
იგრიალეს კარნავალი,



დაუგროვდათ კარგა ვალი.
*
ფეხბურთელი ჩიპრიანი,
არის სხვებზე ჯიბრიანი.
*
მიატოვა სარაგოსა,
ვერ ივარგა სარამ ბოსად.
*
მუზეუმში ნოვგოროდის,
ნეტავ იყო ბონდო როდის?
*
აქვთ კარები მასიური,
ძლივას აღებს მას იური.
*
აღარ შედგა პარაკლისი,
იყო მრევლის დანაკლისი.
*
წაუკითხავს მოპასანი,[30]
ინტიმ ამბებს მოყვა სვანი.
*
მართალს ამბობს საავედრა,
სხვაა ტაშტი, სხვაა ვედრა.
*
რეისია ჩარტერული,
თვითმფრინავს აქვს მჩატე რული.
*
ნარდს თამაშობს აბაშაში,
გააგორა აღამ შაში.
*
ცოლი შერთეს ბათუმელი,
მოიმართა ბათუმ ხელი.
*
ტანწერწეტა ქორფა ლიზას,
კვლავ აძლევენ ორმაგ ვიზას.
*
ინახულა სამტრედია,
და მთელი დღე საქმეს სდია.
*
გამგზავრა მაროკოში,
თან წაიღო მარომ კომში.





*
დენმა დასცხო “რაზეტკაში”,[31]
ვერ წავიდა “რაზვეტკაში”.
*
შველა უნდა ზარანდიას
ვერვინ აძლევს გარანტიას.
*
ყველგან იყო კაპაბლანკა,[32]
დარჩა მხოლოდ კასაბლანკა.
*
გენერალი ჩანკაიში,
არ ყოფილა შანხაიში.
*
მალე წავა ტოლიატში,
ბილეთი აქვს მგონი ათში.
*
შეიყვარა ლატარია,
ფულის ეშხმა გადარია.
*
იგვიანებს ვახანია,
ჯგუფი ელის რა ხანია.
*
მუსიკოსი დონიცეტი,
არ ყოფილა მგონი ცეტი.
*
უვიცია განათლებით,
ოჯახს არჩენს კამათლებით.
*
ნარდს თამაშობს დუშამბეში,
გააგორა დუშომ ბეში.
*
მექარავნე ყარა-ყუმის,[33]
ამჯობინებს არაყს კუმისს.
*
მეზობელი გორგიშელის,
წყენისათვის ბოდიშს ელის.
*
ვერ ითვისებს გურანდუხტი,
რამდენი აქვს ურანს მუხტი.
*
მივუზომე “პასტუხს” ველი,

სამადლობო პასუხს ველი.
*

არ შემცდარა კავალერში,
რომ გაიცნო კაბარეში.
*

ამ მუშკეტერ დარტანიანს,
ნახეთ ერთი რა ტანი აქვს.
*

დაუბარეს ზურაბაშვილს,
აჭამეო მურაბა შვილს.
*

ცოლს ვერ იტანს ბანიშევსკი,
ეფერება თავის შეფს კი.
*

კაცსა ვცემე ვარციხეში,
იმის შემდეგ ვარ ციხეში.
*

ვერ იხილა ბრაზილია,
დაიბოლმა ბრაზით ლია.
*

პატარაა პაკისტანი,
ისე როგორც კატის ტანი.
*

სტუმრად გახლდით ვიეტნამში,
დღე და ღამე ვიჯექ ნავში.
*

რომ დაბომბეს არგენტინა,
გული რატომ არ გეტკინა?
*

შესასვლელში შულავერის,[34]
მეზობელი შურა მელის.
*

ხმებს არჩევდნენ ციურიხში,
ვერ აჯობეს ციურს რიხში.
*

მარტიროსა სარიანი
მხატვარია შარიანი.
*

კარგად შეგვხვდნენ შემახაში,[35]
გაისმოდა ქება ხმაში.



*

მიწა არ აქვს საინგილოს,
აბა ბავშვმა სად ირბინოს?
*

ბრძოლით იგდეს ხალხინგორა,
დაახვავეს ხალხის გორა.
*

მიაკუთვნეს სიმონს როლი,
გაასაღოს "სტიმოროლი".
*

საზიარო ბროწეული,
ჯერ არ არის მოწეული.
*

მიაწოდეს ფლომასტერი,
რომ დახატოს თომას მტერი.
*

აჩვენებდა მონიტორი,
დათვს მოაჭრეს ორი ტორი.
*

მოიპოვა მისის თასი,
არვინ იცის მისი ფასი.
*

ქოხი დადგა ფარღალალა
ნეტავ ასე რამ დაღალა?
*

ვერ სწავლობდა თეორემას,
დასცინოდა თეო რემას.
*

ემზადება მარელისი,[36]
ზეიმია მალე მისი.
*

სმოკტუნოვსკი ინოკენტი,[37]
ერთ დიდ ფილმში იყო კენტი.
*



მომღერალი აზნავური,
როდი არის აზნაური.
*

ჩამოვიდა კომისია,
შეადგინა ტომის სია.
*

არ მიართვეს სუვენირი,



შეეცვალა თურმე ნირი.
*

გრძნობები აქვთ ფიქციური,
აქ მერაბის, იქ ციურის.
*

ხიბლავს ბრუნვა კარუსელის,
კოხტა გოგო ბაბუს ელის.
*



სიძედ შეხვდა ზაურბეგი,
ასეთი აქვს ზაურს ბედი.
*

რძლად მომგვარა აირისი,[38]
მეშინოდა აი რისი.
*

ჩამოასხეს "ბაგიათი",
დაეწაფა ბაგე ათი.
*

ვერ გაგზავნა "ვაგონები",
ააგლიჯეს "პაგონები".
*

დგებუაძე მალაქია,
ჩინებული დალაქია.
*

ცირკის შეფი წიფურია,
არც ისეთი წითურია.
*

ჩრდილში დაჯდა თალაკვაძე,
ღორის ხორცი თალა ქვაზე.
*

შრომობს პაპა ზაქარია,
ზაფხული თუ ზამთარია.
*

გადიხადა ქმარმა ცენტი,
გაისტუმრა ფარმაცევტი.
*



მივდიოდი ტურბაზაში,
გოგო შემხვდა ტურფა გზაში.
*

თუკი გიყვარს ბარისახო,[39]
გულში უნდა აისახო.

*

გეტყვის ლექსის სათაური,
ამბავია სადაური.
*

მსახიობი რიჩარდ გირი,
იმით ცოცხლობს, რითაც გმირი.
*

მზარეული ბუდიონის,[40]
ოსტატია ბულიონის.
*

დულცინია ტობოსელის,
მეზობელი გოგოს ელის.
*

მიატოვა გაჩიანი,[41]
ქმარი ნახა დაჩიანი.
*

წევრებს ითვლის პარლამენტი,
ორასი და კარგა მეტი.
*

შეიყვარა ტარას ბულბა,
ერევნელი კარას მულმა.
*

ჟანდარმისთვის ზარანდია,
უსაფრთხობის გარანტია.
*

ადმირალი უშაკოვი,
არ გეგონოთ "უჩასტკოვი".
*

მოიარა კურკამ რაჭა,
ვერსად ნახა კუკარაჩა.[42]
*

კონკურსებზე ვაიკულეს,[43]
კვლავ უწერენ კაი ქულებს.
*

იყო დიდი ოპიზარი,
ვინც მოხატა ონის ზარი.
*

უჩიცია კუბილასი,
ისწავლა სულ ხუთი კლასი.
*

გასვლა უყვარს ტურისტული,

იქითკენ აქვს გულისყური.
*
სუფრა არის სურამელის,
მოუთმენლად სტუმარს ელის.
*

მაწყენინეს ერევანში,
მაიც არ მსურს მე რევანში.
*
როლში სურდათ წყლის მომტანი,
შეარჩიეს ივ მონტანი.[44]
*
ნიჭი უნდა ხელოვნებას,
ის არ არის შენ რომ გნებავს.
*
გაუსინჯა წამით პულსი,
დაუნიშნა წამლის კურსი.
*
არის კუთხე ბაზალეთის,
ტურისტული ბაზა მლეთის.
*
შრომით კლავდნენ შაუმიანს,
არ უხდიდნენ შაურიანს.
*
ნიჩბით ხვეტდა ბურბუშელას,
თან ითხოვდა ბუდუ შველას.
*
ბარბარაა სტრაიზენდი,[45]
ქმარად რომ ჰყავს კაი დენდი.
*
რომ არ ნახოს მონტე კარლო,
დარდით მაშინ მოკვდეს კარლო.
*

აკეთებდა აეროსტატს,
რომ არ ძალუძს არც ერთ
ოსტატს.
*
ლექსის წერის – ხაიამი,[46]
არც ისეთი ხამი არი.
*
მატყლი მომცეს შულავერის,
მასალაა პულავერის.

*
ამზადებენ ბაიდარებს,
იმედი აქვთ-გაიდარებს.
*
აცხადებენ გაზეთები,
იყიდება კასეტები.
*
ფრაზა არის კლასიკური,
"გამოიბი ასი ყური".
*
დასახლება ვარიანი,
სოფელია გვარიანი.
*
წიგნში ჩართეს ტოლიატი,[47]
გაიბერა ფოლიანტი.
*
ლამაზია ვერის ბაღი,
ამჩნევია მერის დაღი.
*
კაბინეტში ჩაიკეტა,
და მიირთვა ჩაი კენტად.
*
ხალხს კი მისცეს გარანტია,
შუქი მაინც არ ანთია.
*
ააყვავო ბარისახო,
მიზნად უნდა დაისახო.
*
გოლკიპერი კარბახალი,
ნაკრებშია კარგა ხანი.
*
ამაყობდა ხარიტონი,
თავის ძლიერ ბარიტონით.
*
ვიქტორია პრინსიპალი,
სულ არ არის პრინცის ქალი
*
გადიარეს ესტაკადა,
და უყიდეს ესმას ქადა..
*
წარმტაცია "დარიალი",



დღე თუ არის დარიანი.
*
ძლივს გამართეს საქანელა,
გადაქანდა საცხა ნელა.
*

გემრიელად გეახელით,
მორთმეული თეას ხელით.
*
სუფრა ყვავის ბოდბისხევში,[48]
ყანწი თვითონ მორბის ხელში.
*
გაამზადე "ენისელი",[49]
თუ ვახშამზე ედის ელი.
*
მას სპექტაკლში ანდეს როლი:
ჩაიბაროს ბანდეროლი.
*
პოლიკარპე მარშანია,
საფრანგეთის მარშალია.
*
პოლიციის კომისარი,
ინდიელთა ტომის არი.
*
პოლკოვნიკი ბექაური,
გახდა პოლკის მეთაური.
*
სულ არ არის კატასტროფა,
ლექსს თუ დაწერ ათას სტროფად.
*
რესტორანი "მოდი მნახე",
მე პირველად როდი ვნახე.
*

მადა უჭრით სარკინოზებს,
დააკისრეს ხარკი ბოზებს.
*
ვერა თოკავს ფირო ვნებებს,
სქესით არჩევს პიროვნებებს.
*
მიიხურეს ალაყაფი,
და "გაუშვეს" სხვა ლაყაფი.

*
ამაყ სარდალ ვოროშილოვს,
უმალავდა "ვორი" "შილოს".
*
ყურძნის მწურავს საწნახელში,
არ სჭირდება სახრე ხელში.
*
კუს კოცნიდა არენაზე,
ხან ტუჩებში, ხან ენაზე.
*
სიტყვაბილწობს ამალია,
გააბრაზა ამან ლია.
*
ყალბი შეხვდათ ყაზილარებს,
არაჰქონდა ხაზი ლარებს.
*
ნისლი დაწვა რიწას ტბაზე,
ცვარი ადევს მიწას თმაზე.
*
რძალი იძენს სამკაულებს,
და აგიჟებს "სამკა"მულებს.
*
ლაქში ურევს სახამებელს,
აღუდგინა სახე "მებელს."
*
ჭრელ საკაბეს ქსოვდა გარი,
შემკვეთია სოვდაგარი.[50]
*
ქორწილს მართავს დანიელი,
ქალი მოჰყავს დანიელი.
*
ჰწვრთნელთა საბჭო ინგლისელის,
ხვალ მეტოქედ ინგრიდს ელის.
*
შეაგინეს კამერდინერს,[51]
არ ულებდა კარებს დილერს.
*
რესტორანში ვიყავ დელში,
ჭია ვნახე ფრიკადელში.
*
როცა ვიყავ კამჩატკაზე,

დამრჩა რკინის ჩამჩა ტბაზე.
*

ცოლს გაშორდა ჩუბაისი,
გაიყოლა შუბა მისი.
ოც წელს მართა რაიონი,
თქვა – "ყოფილა რა იოლი".
*



დაიჭირეს კუჭატნელი,[52]
ჩამოართვეს "კუჩა" წნელი.
*

მოიწვიეს ჯამბაზები,
და დაუთმეს დარბაზები.
*

ისე გახდა ფარმაცევტი,
არ გაილო ფარნამ ცენტი.
*

რატომ გაქებს თერაპევტი?
მას ჰგონია "ვჩერა პელ ტი"
*

რა საქმე აქვთ პარტოკრატებს?
ისქელებენ ფართო ტრაკებს.
*

გამიცდინა გაკვეთილი,
არ დავსაჯე, ვარ კეთილი.
*

მედდებს ჰქონდათ გაკვეთილი,
გვამი ჰქონდათ გაკვეთილი.
*

რაფიკ ვართაპეტიანი,
არის მართლა ფეთიანი.
*

წვერი ჰქონდა მოშვებული,
დარდს ებრძოდა მოშეს გული.
*



რუსთა მინისტრს ჩერნომირდინს,
უსასყიდლოდ ზერნო მისდის.
*

არ უყვარდა ხომერიკი,
არც ჰეგელი, გომერი კი.
*

ულვაშს იწმენდს ბუდიონი,
სულ შეხვრიპა ბულიონი.
*

სიძვირეა მაროკოში,
დოლარს იხდის მარო რკოში.
*

ვერ დაუკრა სალიერი,
თავი ჰქონდა ცარიელი.
*

ჯარისაგან მალავს სიძეს,
მიტომ სჯიან მალაციძეს.
*

ღირსადა ვთვლი ბარისახოს,
რომ კინოში აისახოს.
*

"ბ" კლასს უთხრეს მერიაში,
გადიყვანონ მერი "ა"-ში.
*

შერცხვა, შეცბა ჰამილტონი,
ვერ აუბა შამილს ტონი.
*

ბუჩქი უდგას ნაყოფიას,
მეტად ტკბილი ნაყოფი აქვს.
*

სურათს ხატავს ამბროსიჩი,
"ტუფტა" არის ამბობს ზიჩი.
*

გული უყვარს ილარიონს,
გაატანა ცილა რიონს.
*

ცირკის თალქვეშ სამარაში,
ძლივს მოთოკა სამმა რაში.
*

საჯევახოს ნიგოეთი,[53]
არ გეგონოთ იგოეთი,[54].
*

ზანგებს ბადებს ტანზანია,
თითქმის ყველა ტარზანია.[55]
*

როცა მღერის სოტკილავა,
მუდამ ისმის "სოტნი" "ბრავა".





*
ლუზაზე დადგა “დუნკანი”,[61]
მატროსებს აძლობს დუქანი.
*
საპარლამენტო ფრაქციებს,
უშლიან პოლიტაქციებს.
*
სიმონი კარგი კაცია,
გასწია აგიტაცია.
*
დაკარგა შვიდი შაური,
ატეხა დიდი ხმაური.
*
ღვინოს არა სვამს კოლია,
სიდედრი მკაცრი ჰყოლია.
*
ექიმი ურჩევს ბორიას
მორჩეს უაზრო ბორიალს,
ხშირად შეჭამოს მაწონი,
მერე წაიყვანს — აწონის.
*
ვეღარ კიაფობ პრინციპით,
დახტიხარ როგორც ფიგარო,
ყიდვა-გაყიდვის პრინციპით,
თავს ძლივს ინახავ ჯიგარო.
*
მანქანა მიჰყავს რობინზონს,
არაფრად აგდებს ლობის ზოლს.
*
გემს ისე მისდევს თოლია,
თითქოს იქ სატრფო ჰყოლია.
*
ვეფხვმა აზიდა ულვაში,
ხორცი გაუშვა ბრუნვაში.
*
რომ წარადგინა რაპორტი,
ჰკითხეს არისო რა პონტი.
*
აუწყობელი გიტარა,
იგივეა რაც ხის ტარა.



*
ინსტრუმენტმცოდნევ — მარჩელო,
ხან ალტი მოგწონს, ხან ჩელო.
*
ფეხბურთის მწვრთნელი მენოტი,
უკვე გამხდარა მელოტი.
*
ფეხბურთელ მიშელ პლატინის,
პრიზი მიართვეს პლატინის.
*
კბილს იღებს სტომატოლოგი,
ნემსია საქმის პროლოგი.
*
ზედგამოჭრილი შტირლიცი,[62]
კახელი ვახუშტი ვიცი.
*
მოიგერიე ბუზები,
არ დაგეფანტოს მუზები.
*
მოისპო ტყე და ველები,
რადგან მომრავლდნენ მცველები.
*
ვერა ხატავდა ვერაფერს,
რადგან ხმარობდა ყველაფერს.
*
ბექზე გადმოდგა ჭაბუკი,
ჰკრა ნაღარა და ჰკრა ბუკი.
*
ზღვის პირზე იჯდა ზაური,
თმას უწეწავდა ზღვაური.
*
თოფს არ ესროდა კალიას
უფრთხილდებოდა ფალიას.



*
არ დამეწვია ყავაზე,
ქუდი შეაგდო ყავარზე.
*
ექიმმა სახლში იარა,
და მომირჩინა იარა.
*
უხვად მასპინძლობს ყულევი,[63]



მჭადის ფქვილი აქვთ ულევი.
*
მშრომელმა გლეხმა კოწიამ,
სახლი ააგო კოპწია.
*
რძალმა გააწყო მაგიდა,
სული და გული რა გინდა.
*
დარბაზში სხედან ბავშვები,
არა ჩანს ფილმის გამშვები.
*
არ უფრთხილდება მურა ყბებს,
და ამიტომაც მუდამ ყეფს.
*
ერიდეთ დამპალ ბანანებს,
კუჭს გატკენს, მწარედ განანებს.
*
უროს რომ ურტყამ, “აგიდელს”,[64]
მაგ მკერდში გული არ გიდევს?
*
სადა ხარ, მოვკვდი მშიერი,
დავკარგე კაცის იერი.
*
ის კარგად ურტყამს დომინოს,
მაგრამ ვერ სწავლობს დო-მინორს.
*
მიყვარს სომხური "სუჯუკი",[65]
და თბილისური დუდუკი.
*
რა შუაშია ნაცია,
თუ კაცი არის ცაცია.
*
ატყდა ვიში და განგაში,
კაცი იხრჩობა განგაში.
*
სტუმრად ვიყავი ბაქოში,
ფული წავაგე ბანქოში.
*
გამგედ დანიშნეს ბაზაში,
ყოველდღე დადის ბაზარში.

*
მგელი ანჩხლი და მსუნაგი,
ამაყობს თავის ბუნაგით.
*
მიტომ გაილე ზვარაკი,[66]
ამას აკეთებს სხვა რაკი.



*
ჩვენ ფეხბურთელთა ნაკრები,
რითია სხვაზე ნაკლები?
*
დაჩანჩაკდა არისტო,
ასაკით უკვე არის “სტო”.
*
ჭრელტყავიანმა “ანკარამ”,[67]
წყალი შეხვრიპა ანკარა.
*
ტირში ისროდა საქულა,
ძლივს შეაგროვა ცხრა ქულა.
*
პატივი ეცი სამართალს,
გამოითხრიდე სანამ თვალს.
*
კუნტრუშობს, დახტის ალისა,
ნეტავ რამ გაახალისა.
*
რა შუაშია კანონი,
ლესკოს თუ მოწონს მანონი.
*
ხილი თუ გხიბლავს მაზალო,
უნდა შეჭამო მაყალო.



*
მართლაა გასაკვირველი,
ის როგორ გახდა პირველი.
*
ნეტავ რამ გაახალისა,
ფული არა აქვს ხვალისა.
*
როგორ გალახა ფაცია,
შეურცხვეს მაგას ცაცია.
*
ბანაკში ართობს პატარებს,

დროს ჩინებურად ატარებს.
*
ჩვენს გულში ვაჟა ფშაველა,
დღესაც ნავარდობს მთა-ველად.
*
ველოსიპედი სამთვალა,
სხვისი თავისად ჩათვალა.
*
ძმაკაცს მოექცა ორგულად,
თოფი ესროლა ორლულა.
*
ბიკენტი კვარაცხელიას,
ყანის სამკელად ცელი აქვს.
*
თუ ეკითხები ვირს ნებას,
საფრთხეში იგდებ ღირსებას.
*
გინდაც გვირაბი გათხაროს,
ვერ მიადგება ბახმაროს.
*
სიაფანდია ნუგეში,
თე არ მოვიდა ''დუბეში''.
*
თუ არ მოიყვან ''იაგანს''
ქარი დაჭიმავს იალქანს.
*
იმიტომ მიყვარს ჰოფმანი,[68]
რომ არ სჩვევია ყოყმანი.
*
ემდურებიან ნიკოლსონს,[69]
პატივს რომ არ სცემს ნიკოს
ცოლს.
*
ძლიერ შეწუხდა გერონტი,
ვერ შესძლო ბინის რემონტი.
*
იმაზე ფიქრობს დურგალი,
კუთხე გამოჭრას თუ რკალი.
*
დროშა ფრიალებს სამფერი,
დიად წარსულის საფერი.





*
ემანუელი ლასკერი,
იყო ჭადრაკის ''მასტერი''
*
გამოუხურეს ოსს კარი,
არ მიანიჭეს ''ოსკარი''.
*
ამაყობს გივი ჟვანია,
რომ მისცეს დიდი ''ზვანია''.
*
იყო ომების ''მასტერი'',
ვერას აკლებდა მას მტერი.
*
კმაყოფილი ვარ, ბელადით,
სადღეგრძელოს ვსვამ ხელადით.
*
ვცხოვრობდი დონის როსტოვში,
მაღალი დონის ''როსკოშში''.
*
გამწარდა ტარტაკოველი,
დაფხრიწა ''კარტა'' ყოველი.
*
სულ დაიშალა ბორანი,
წყალში ჩავარდა ბორმანი.
*
კარგად ასწავლის ჰიმლერი,
მაგრამ ვერ სწავლობს ჰიმნს ლერი.
*
ეს ხაზი ეკვატორია,
შორს არის ევპატორია.[70]
*
მკაცრად უბრძანეს კულაკებს,
ჩვენ გადმოგვცემთო ულაყებს.
*
დაასხი ''ალადასტური'',[71]
რად გვინდა ალას დასტური.
*
ხბო რომ გყავს ხარაგაულში,
გაზარდე, ხარად გაუშვი.
*
თვით ცხოვრობს ფასანაურში,



ყავს ორი ხასა ზნაურში.
*
ჩემი ათასი კაფია,
ჭრელი ატლასის ძაფია.
*
დაინტერესდნენ კუნძულით,
შემოიარეს ძუნძულით.
*
კურსზე სტოვებენ რაფიკას,
რადგან არ სწავლობს გრაფიკას.
*
არ გააჩერა მან ხერხი,
და მოაგროვა ნახერხი.
*
გუგუნებს, ღელავს ბაზარი,
თითქოს რეკავდეს ცხრა ზარი.
*
ტყავისთვის მოკლეს მელია,
სახორცედ რა საჭმელია.
*
დამდგარა ჩვენი მომენტი,
გამოვიჭირეთ დომენტი.
*
ჩუმად გაქურდეს სარქისა,
ამოაცალეს ცხრა ქისა.
*
''ზემოთ'' დანიშნეს იაგო,
ყველამ პატივი მიაგო.
*
შვარცენეგერი არნოლდი,
ვიღაცას თვალში არ მოსდის.
*
მაიკლ ჯეკსონის კლიპები,
სავსეა მსუბუქ ტლინკებით.
*
სახელმოხვეჭილ სესილის,
სიმწიფე მოსწონს ხეხილის.
*
შეყვარებული ვარლამი,
ჩამოდნა როგორც ცვარ-ნამი.





*
ბოდიშით თავს ვერ უშველა,
ყველამ აგინა უშვერად.
*
პრიზები მისცეს ძვირფასი,
ვის დოქი შეხვდა, ვის თასი.
*
ნაქურდალს ყოფენ შუაზე,
არც ერთი არის უარზე.
*
მათხოვარს გასცდა კიბეზე,
ფული არ ჰქონდა ჯიბეზე.
*
ოზურგეთელი მამია,
აბდალს სულ არ ჰგავს ძმია.
*
წრიპინ-წრიპინით კალიამ,
ცხელი ზაფხული გალია.
*
რა უფრო არის საქები,
ზედსაფარი თუ საგები?
*
მშვიდობას ეტრფის ნობელი,
არ უყვარს დაუნდობელი.
*
სახელად ერქვა ადოლფი,
უყვარდა კარტი და გოლფი.
*
ბიჭია ხიდისთაველი,
მხრები აქვს შვიდი მტკაველი.
*
ხშირად აკითხავს სტალონე,
ფეშენებელურ სალონებს.
*
მოხეტიალე დერვიში,
არ აგერიოს დევნილში.
*
არ მომეწონა სირია,
მიწა ზედმეტად მწირია.
*
შემოიარა აფრიკა,

ინფორმაცია აკრიფა.
*
თუმც ბევრ ოპერას უყურა,
ვერ აიმაღლა კულტურა.
*
პლაჟზე ისმენენ მუსიკებს,
მზეზე აშრობდნენ ტრუსიკებს.
*



განიცდის, ღელავს კოწია,
"ასტრა" ზედიზედ მოწია.
*
მკერდით ამაყობს ტონია,
თავი საბრინა ჰგონია.
*
გალაღდა დატკბა მუხრანი,
ტყე მოეწონა მუხნარი.
*
ვისაც არაყი იტაცებს,
ის ვერასოდეს იკაცებს.
*
დიდხანს შემორჩი გაგრაში,
ცოლს აუტეხავს განგაში.
*
არ უფრთხილდები თიაქარს?
სიცოცხლეს ატან ნიავ-ქარს.
*
მანქანას არ ეკარება,
არ ეხერხება ტარება.
*
სულდგმულობს ვაი-წვალებით,
ლამის დაიხრჩოს ვალებით.
*
შეიარაღდი მუშკეტით,[72]
ვინ რას დაგაკლებს მუშტებით.
*



ზამთარმა დათმო პარტია,
რადგანაც უკვე მარტია.
*
წყალსაცავს ერთვის იორი,
იქ ცხოვრობს ის მონტიორი.

*
ნარდში დამარცხდა კახელი,
უცბად წააგო რვა ხელი.
*
ისე დაბერდა დელონი,
არ ათამაშეს დემონი.
*
ვიწრო ოთახი დალაქის,
ბირჟად ქცეულა ქალაქის.
*
თბილის-ქალაქი ადიდეს
სიონის ანგელოზებმა,
ხოლო წაბილწეს, აგინეს,
ცირკის მიდამოს ბოზებმა.
*
ტყეში მოკრიფე მაყვალი,
როცა ვისწავლე გზა-კვალი.
*
ფუსფუსებს ხაჩიკიანი,
ხაში მოგვართვა რძიანი.
*
როცა ირჯები ხალისით,
საქმე გამოდის თავისით.
*
გურჯაანელი შოველი,
კაცია ფულის მშოვნელი.
*
სამოილენკო ვალია,
მთელი ხუტორის თვალია.
*
ვაქებ ბიწაძის მოთხრობებს,
აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
*
შეწვი მწვადები ბუხარში,
რა გინდა საქოს დუქანში?
*
მედგრად იცავს გია კარებს,
ფეხბურთელს არ მიაკარებს.
*
ლობიო დუღდა ქოთანში,
ქვაბი არ იყო მოდაში.



*
მოკვდა ვინც ცუდად ახსენა,
ოძელაშვილი არსენა.
*
რესტორნებსა და ბარებში,
ამაყადა ზის ქალებში.
*
აბითურებდა აპაჩებს,[73]
დოღის ტოტალიზატორი,
დაიჭირეს და გაქაჩეს,
მისი ორგანიზატორი.
*
ჯიბეში ედო რვეული,
თავფურცელ შემოხეული.
*
მონღოლი სუხე ბატორი,[74]
ყოფილა რეფორმატორი.
*
პატარძალს ახლდა მაყარი,
ბიჭები ნუყარ-ნაყარი.
*
ფოთელი ელო მანია,
ნამდვილი მელომანია.
*
შეწყდა აპრილის ქარები,
გამომზეურდნენ ქალები.
*
ფული მოიგო ყომარით,
სახლში მივიდა ტომარით.
*
მამაცი მაცი ხვიტია,
მართლაც ანცი და "ბიტია".
*
შევიდა ავტოფარეხში,
შუქი გამორთო ფარებში.
*
ცხენმა შეჰყარა ფაფარი,
ძირს დაახეთქა ჩაფარი.
*
დავხარჯე ბოლო კაპიკი,
შეწყდა ქეიფის გრაფიკი.



*
წარმტაცი არის ქვიშხეთი,
ნაძვით დაფარულ ქვის ხედით.
*
დღეს უნაკლოა ფაცია,
მოდური კაბა აცვია.
*
რა დაემართა მარინეს?
თვალს უცნაურად მარიდებს.
*
ფეხებს ვერ მომჭამს მაფია,
სანამ ხელები მაბია.
*
ბონდო ჯიქიას ბინაზე,
ღვინო ვსვით მტრების ჯინაზე.
*
შესვა თორმეტი ბოკალი,
და ჩაეხრინწა ვოკალი.
*
არტისტი ნიკოლ კურსელი,
არის მაიკლის კურსელი.
*
კონცერტებს მართავს პიაფი,
ბილეთებია იაფი.
*
საქმეებს სჩადდა ღვარძლიანს,
ახლა სროკს იხდის რვაწლიანს.
*
იოლად გადის "სარდინით",[75]
როცა არა აქვს სადილი.
*



ტყის გზაზე იყო გაკრული,
გეგმები ჰქონდა მზაკვრული.
*
ბაზარში "თურაშაული",[76]
ღირს შვიდი თუ რვა შაური.
*
თუ გემო გხიბლავს მაწონის,
მალე გახდები სხვა წონის.
*
ქვაში ნაჭედი სკულპტურა,

არის უკვდავი კულტურა.
*

გულდასუსტებულ ამბაკოს,
უთხრეს: “შეეშვი თამბაქოს!”.
*

ღამე ათია ტამბურში,
დილით ჩავიდა სტამბულში.
*



ხუმრობა უყვარს შაპიროს,
გაუთავებლად შაყირობს.
*

ჩიკაგოელი განგსტერი,
არის წაგლეჯის “მასტერი”.
*

მოსწავლემ ვერ თქვა სათქმელი,
სად წილადია, სად მთელი.
*

საკანში წერდა ბალადას,
თუ როგორ ჭამდა ბალანდას.
*

არად თვლის წითელ ბურთულებს,
რაც ჯანმრთელობას ურთულებს.
*

თუ გავიმარჯვეთ რიგაში,
გადავალთ პირველ ლიგაში.
*

როცა შეავსებ საფულეს,
გული მაშინ გაქვს საგულეს.
*

გოგია გუდამაყრელი,
იყო უნიჭო მაკლერი.
*

სირბილში ტარივერდიევს,
სხვა მორბენლებმა ვერ სდიეს.
*



შიშს აღარა გვრით ბარაბა,
ფართოდ გაალეს დარაბა.
*

ცაში აფრინდნენ ასები,[77]
ცოტა კი არა – ასები.

*

თოფი ნაყიდი ტულაში,[78]
ააგრიალეს კულაში.
*

ასაკს ვერ ვამჩნევ ვარდენის,
ნეტავ მეც გავხდე მაგდენის.
*

კარგად ისწავლი ხელობას,
თუ არ დააკლებ მცდელობას.
*

კომპოზიტორი როსინი,
შენი ტოლია, რომ სცინი?
*

ოპოზიციურ პარტიას,
მამხილებელი ფაქტი აქვს.
*

ბებია ავლებს ჩურჩხელებს,
გიგა ვერ თოკავს ურჩ ხელებს.
*

მაღალმთიანი აჭარა,
ადრე მხიბლავდა, აწ არა.
*

რომ არ გიყვარდეს რანგუნი,[79]
კაცს უნდა გქონდეს რა გული.
*

დამიზიანდა მენისკი,
რადგან გავწიე მე რისკი.
*

ტახს ნეტავ რად არ ეშვები,
გინდა გაგირჭოს ეშვები?
*

კარგია დაბა ყვარელი,
ლამაზი და საყვარელი.
*

ზუსტად იქ არის კორეა,
სადაც ყვითელი “მორეა”.
*

რა ენას ხმარობს მექსიკა,
თუ აქვს მდიდარი ლექსიკა?
*

ადვილად ჩახვალ ჩილეში,



ვიდრე ჩვენს ოჩამჩირეში.
*

დაჩა აქვს ბადიაურში,[80]
თევზს იჭერს ბადით აუზში.
*

ყაჩაღი თუ ჩანს შარაზე,
ჭიშკარი კარგად ჩარაზე.
*



ესტრადის გმირმა სინატრამ,
სავსე დარბაზი ინატრა.
*

დამპყრობს ებრძოდნენ ბურები,[81]
თან ახლდნენ ჩვენებურები.
*

კვლავ ეხმარება ღარიბებს,
ფულს უანგაროდ არიგებს.
*

არაა მათი საშველი,
თუ ვერ მოუსწრებს მაშველი.
*

გვყავს დიდებული დონორი,
სულ არ სჩვევია გონორი.
*

დალაქი კრეჭავს თაბაგარს,
წვერმოშვებულს და თმამაგარს.
*

მისი ნაგები შენობა,
მთავარ მოედანს შვენოდა.
*

ელდარა თავართქილაძე,
ედავა თავადს ქირაზე.
*

თუ როგორ უჭირთ ბურლაკებს,[82]
ნაკლებად ესმით “დურაკებს”.
*

სტუმრად ეწვია ვაჭარი,
ასვა წითელი მაჭარი.
*



რემბოს-სილვესტერ სტალონეს,
ცოლად ურჩევენ სალომეს.

*

ოპერატორი კრამერი,
დადის დღე და ღამ კამერით.
*

რჩეული ჯარი-გვარდია,
მობილური და მარდია.
*

წყალი მიუგდო ტეხურა,[83]
ვაშლები მორწყო “კეხურა”.
*

წაიმუშავა გლეხურად,
გასხლა, შეწამლა “კეხურა”.
*

სულ გაიარა ცხრა ვერსი,
დაუზიანდა “ტრავერსი”.[84]
*

ნაკვეთი მომცეს ნავთლუღში,
სესხად მიცემულ ნაღდ ფულში.
*

სულ მოირბინა აგორა,[85]
ბურთი დილამდე აგორა.
*

თუ დამიმოყვრდნენ დალები,[86]
ბლომად მექნება ლარები.
*

ხალხი მიაწყდა მილეთის,
შოვნა გაძნელდა ბილეთის.
*

დრო გავატარე ქეიფში,
ფული არ დამრჩა სეიფში.
*

მამალი დასდევს ვარიას,
ეძებს შესაფერ ვარიანტს.
*

გამგემ მდიდარი ბაზიდან,
რაც იყო, სახლში გაზიდა.
*

კარგად დაზვერეს ლანდშაფტი,
მერე გათხარეს რვა შახტი.
*

ფიცრის ნაჭერი მარტივად,

გამოიყენა მან ტივად.
*
გასუქებულა ბერია,
ლობიოს გაუბერია.
*
სალამი მისცა დადიანს,
მოწყენილსა და დარდიანს.
*
აზრზე არ არის ხაჩიკა,
როგორ შეჭამოს აჯიკა.
*
როცა ატირდა ხათუნა,
მაშინ უყიდეს "დათუნა".
*
ჰქონდა თავისი მანერა,
როგორ გააკრას ფანერა.
*
როგორიც უყვარს მარინას,
უმზადებს ისეთ მარინადს.
*
ქსოვილი უნდა ცანგალას,
ეძებს ჭრელსა და ცალგანას.
*
მექანიკოსი, ხალვაში
ხან ბათუმშია, ხან ვანში.
*
გეგმა არ უჭირს მარნეულს,
ბევრს ამუშავებს მადნეულს.
*
გაბრაზდა ჟერარ ფილიპი,[87]
ვერ აიტანა ქილიკი.
*
ხელი ასწიოს, ვის უნდა,
დასასვენებლად პიცუნდა.
*
"პატარა კახი" კახელებს,
მედგარ ბრძოლისთვის ახელებს.
*
სულ ნახევარი დოლარი
ღირდა ფეხსაცმლის ზონარი.



*
მძიმე დღე ელით ტიფოზებს,[88]
თუ მათზე ვინმე იბოზებს.
*
კერძს ამზადებდა ლანძილით,[89]
ხან საღამოთი, ხან დილით.
*
კაცი აჩეხა რაპირით,[90]
მის ცოლს შეხედოს რა პირით?
*
მთვარე ამოსვლას აპირებს,
ტალღა აწყდება ნაპირებს.
*
რაგბიში შევხვდით ვიკინგებს,[91]
ასე, უბრალოდ ვინც გვიგებს.
*
კლიმენტი ვოროშილოვის,
ხათრი აქვს მხოლოდ შვილობილს.
*
ვერაფრით ეტყვი სამდურავს,
ფეხბურთელთა გუნდს
"სამგურალს".
*
დასუსტდა ვანის "სულორი",
მატჩი მოიგო სულ ორი.
*
იგებს ლანჩხუთის "გურია",
უკვე თერთმეტი ტურია.
*
პლანერით – ოტო სკორცენი,[92]
დაფრინავს, როგორც სპორტსმენი.
*
გია წავიდა ტურინში,[93]
მონაწილეობს ტურნირში.
*
ფრესკები ბაგრატიონთა,
არის მშვენება სიონთა.
*
რაინდი დარტანიანი,
კაცია მხარტანიანი.





*
ციხეში ჩასვეს დანტესი,
არ იყო ავის დამთესი.
*
ეზოს ეწვია ფაკირი,
ღვარივით მოდის შაყირი.
*
ჩამოუკიდა ყურმილი,
არ აქვს საუბრის სურვილი.
*
მოირგეს თეთრი შორტები,
შემოირბინეს კორტები.
*
კვალზე გავიდნენ კამოსი,[94]
შემოაფხრიწეს სამოსი.
*
გაგართობთ ანეგდოტებით,
სულ არ ჭირდებათ ნოტები.
*
მხეცებისათვის ჰანტერი,[95]
ხან მოყვარეა, ხან მტერი.
*
გარშემო ბევრი ურბინა,
მაინც ვერ ჩართო ტურბინა.
*
ფეხბურთელს მწვრთნელი არიგებს,
თამაშს სიზანტე არ იგებს.
*
რუსებში იყო გართული,
სულ დაივიწყა ქართული.
*
მკერდში ატაკეს ურნალი,[96]
დასჭირდა ხუთი მკურნალი.
*
ამბობენ ალენ დელონზე,
პიკნიკებს აქებს მდელოზე.
*
შავთვალა სტიუარდესამ,
ღვინო მიირთვა "ადესა".
*
ბურთი შეაგდო ბადეში,



სატრფომ აკოცა ბაგეში.
*
ბევრს ეწვალება ვიქტორი,
მაგრამ ვერ გახდა დიქტორი.
*
ყვარელის "ქინძმარაული,"
უყვარდა ბიძა რაულის.
*
საფლავის ეპიტაფიას,
ნუ ადრი ენის კაფიას.
*
ვერ შეარჩია ტარიფი,
რადგანაც არის არიფი.
*
კრილოვის იგავ-არაკებს,
პოეტი თინა არ აქებს.
*
ტყეში იზრდება ღანძილი,
კარგა დიდია მანძილი.
*
ძნელად აშენებს სართულებს,
საქმეს ყინვები ართულებს.
*
ოდნავ ელამი ფაცია,
ეტრფის ემანსიპაციას.
*
ცეკაში სწერდნენ ბარათებს:
"ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს."
*
სოფლის ბოლოში ზვარია,
იქ რაიონის ზღვარია.
*
წყალი მიართვა მამამთილს,
უყვარს, საკუთარ მამად თვლის
*
გაბრაზდა მამასახლისი,
გლეხს ჩამოართვა სახნისი.
*
ოჩამჩირელი ლორია,
განთქმული დირიჟორია.



*
რა შუაშია კლიმატი,
თუ კაცი არის კვიმატი.
*
კვაჭანტირაძე ბაკურის,
მერად ირჩევენ აკურის.[97]
*
წვიმას ვერ იტანს დარაჯი,
ვახტზე გავიდა ფარაჯით.
*
გაუმასპინძლდა "სალაგებს,"
და ახლა სუფრას ალაგებს.
*
ძლიერ აშინებს ციურის,
ნაგაზი კავკასიური.
*
შეგაქებს სანტაკლაუსი,
თუ ფეხი სწრაფად გაუსვი.
*
ღამით გააბეს ჭანარი,
სულ არ დასჭირდათ ფანარი.
*
ვერ გაიარეს მანძილი,
ახლა მოუნდა მას ძილი.
*
ავარჯიშებდნენ სკოლაში,
ტყუილი თოფით სროლაში.
*
ქოხს აგებს ფიცხელაური,
ფიცრებს ურანდავს რაული.
*
კაცია კარჩაკეტილი,
თუმცაა ძლიერ კეთილი.
*
აითვალწუნა ვერამ – და
შუა გაუყო ვერანდა.
*
კახეთს წავიდნენ სავაჭროდ,
ქვევრი იყიდეს სამაჭროდ.
*
ვინც მოიგონა ირისი,





შექება იყოს იმისი.
*
არ მიაკარა მაგიდას,
პატივს არა სცემს მაგი დას.
*
კოჭლ ბელს შემოხსნა საბელი,
მერე დააბა სხვა ბელი.
*
სტეპებზე ყარაყუმისა,
შეცვალა ყავა – კუმისმა.
*
მხრით გადალახა ნილოსი,[98]
ძმისშვილი ნახა ილოსი.
*
შეყვარებული ნაგაზზე,
ძვლებს აღარა ყრის ნაგავზე.
*
გირჩევ, ნუ მიცდენ ვაგონებს,
თორემ აგაგლეჯ "პაგონებს".
*
ბეროზაშვილი ტრისტანი,
კაცია, როგორც კრისტალი.
*
ბრწყინვალე თარჯიმანია,
ფოთელი გვანჯი მანია.
*
გადაიყვანეს "სართავში",
ახლა იხალოს სხვამ თავში.
*
ტირი დაუთმეს ბაკულას,
ვერ მიაღწია რვა ქულას.
*
სვანია ხეცურიანი,
განა თუ ხევსური არი.
*
ჩვენ, შაკიაშვილ ლუიზას,
ვაქებთ – კარგ საქმეს თუ იზამს.
*
თევდორე ჭაბუკიანი,
უკვდავი ჭაბუკი არი.





*
მეეზოვე "არაგვის",
ეზოს დროზე არა გვის.
*
ამოივსო სარდაფი,
ნაქურდალი სადაფით.
*
მებუფეტე გოგიას,
სხვაზე ცხარე მდოგვი აქვს.
*
ვაიკულე ლაიმე,[99]
შემიყვარდა – ვაი, მე!
*
მამამთილი სოფოსი,
არის ფილოსოფოსი.
*
ვლადიმერი ვისოცკი,[100]
უყვარს – ვკითხე ვისაც კი.
*
ფლავი ჭამეს სპარსული,
გაიმაგრა სპამ სული.
*
ნიკა ხარობს შურდულით,
თამაზის კი შურს გულით.
*
კვლავ ჭაბუკობს გორდელი,
ბინადა აქვს ბორდელი.
*
მხატვარია რაფიკა,
ეხერხება გრაფიკა.
*
ტყავით ფასობს კურდღელი,
თუმც არ არის კუდგრძელი.
*
სულ არ მიშლის წვიმა დღეს,
მაინც მოვჭრი წინა ხეს.
*
არ დაუჯდა "დუბეში",
გადეწურა ნუგეში.
*
გაუგორეს "ორი სე",



სულ გაგიჟდა ონისე.
*
გამოვალე სეიფი,
გაიმართა ქეიფი.
*
ნიაგარას ჩანჩქერი,
მოვლენაა საცქერი.
*
მოიგლიჯა ულვაში,
გადააგდო ურნაში.
*
დიდს მისცემენ სარგებელს,
თუ დაიჭერს სადმე ბელს.
*
ბურთს თამაშობს დე გოლი,
გააქვს ხუთამდე გოლი.
*
მეზობელი მინისტრის,
ოსტატია მინის ჭრის.
*
სამხედრო წრთვნის შედეგებს,
არ უმხელენ ზემდეგებს.
*
ხატავს მოზრდილ ნატურმორტს,
სურს აჩუქოს ბათუმ-პორტს.
*
შევიძინოთ საზამთრო,
დაგვრჩენია სანამ დრო.
*
სამჯერ შექმნა – მგონია,
სქემა ავარიული,
დალეული ჰქონია, ლუდი
ბავარიული.
*
ითამაშე "ჩარუსე",
შაშის კარი ჩალურსმე.
*
ავად გახდა ლარსენი,
ნეტავ შეხვდა რა სენი?
*
ქადაგებდა რუზველტი,[101]





ესროლეთო რუსს ბელტი.
*
ასე ფიქრობს ჩერჩილი,[102]
რომ დაიპყროს ჯერ ჩილი.
*
პრეზიდენტი ტრუმენი,[103]
სულ არ არის ცრუ "მენი".
*
წარმოიშვა წისქვილი,
სიტყვებიდან წყლის ფქვილი.
*
ჩაუვარდათ სპექტაკლი,
აღმოაჩნდა სპეცნაკლი.
*
თავს ევლება პატარებს,
დროს სულ მათთან ატარებს.
*
შიში არ აქვს კრაზანის,
ძმაკაცია ტარზანის.
*
ო, რა დიდი ხიბლია,
საკითხავად ბიბლია.
*
კაცს ქუდი თუ ახურავს,
მუდამა გრძნობს სახურავს.
*
კვლავ ტრაბახობს "ხრამულით",[104]
შემწვარსა ჭამს ხრამუნით.
*
ლოქოს ხორცი კარგია,
ულვაში რის მარგია.
*
შეიძინა ჭურჭელი,
გამძლეა და ჭრულ-ჭრელი.
*
ტახი შეხვდა შამბნარში,
ჩაისვარა შარვალში.
*
ვასომ ფული წააგო,
სახლი ველარ ააგო.



*
ვაჟკაცია დურსუნი,
არ სჩვევია კრუსუნი.
*
მოხარშული კვერცხების,
ჭამა-ყლაპვით ვერ ვცხრები.
*
თავის შექმნილ სურათებს,
ფოტოგრაფი სულ აქებს.
*
უყვარს სუფრის გაშლა მას,
პატივსა სცემს ხაშლამას.
*
პრესმდივანი კარტერის,
მომხრე არის ბარტერის.
*
უკეთებენ პარიკებს,
ამსგავსებენ "სტარიკებს".
*
წაიკითხე წიგნები
და ნასწავლი იქნები.
*
მკვიდრი კი ხარ სადგერის,[105]
ცხოვრება კი სად გელის.
*
მუსიკოსი ამსტრონგი,
არც რბილია, არც "სტროგი".
*
ფილმს უღებდნენ ესკიმოსს,[106]
როგორ ჭამდა "ესკიმოს".
*
კაცი იჯდა წისქვილში,
ცხვირსა ყოფდა სხვის ფქვილში.
*



დიდხანს სდია შარლატანს,
ძლივსღა ზიდავს შალვა ტანს.
*
ფქვილი ჭამა "ფათოღლი"
აღარ უნდა სხვა "თოხლი".
*
მომცეს რაღაც ვაქცინა,

ერთი კვირა მაცინა.

*

მთვარე თეთრად აშუქებს,
მუზა მოსდით აშულებს.

*



დაიჭირეს დაშნაკი,[107]
თოფი არ აქვს, დაშნა კი.

*

ასე ფიქრობს ლისენკო,[108]
მუხამ უნდა მისცეს რკო.

*

დარდი არ აქვს ვალიას,
თუმცა დიდი ვალი აქვს.

*

ითამაშა ტენისი,
ლამის იღრძო პენისი.

*

გემი მიჰყავთ არიფებს,
წამოედნენ ქვა – რიფებს.

*

აირჩიეს თამადად,
ყანწებსა სვამს თამამად.

*

სილიბისტრო ფაცია,
გულახდილი კაცია.

*

წყლის პატარა მათარა,
მხოლოდ მე მაქვს, მათ – არა.

*

შანტეკლერის დედოფალს,
ადევნებდა თედო თვალს.

*



სკოლის კარის დარაჯი,
მუდამ დადის ფარაჯით.

*

მძლეოსნების შეჯიბრზე,
ყველა წავალთ შენ ჯიბრზე.

*

ყელზე გადგას ხაშური,
განწყობილი ხარ შურით.

*

საქმეს უჩანს სხვა პირი,
არ უხდება შაყირი.

*

რას მომართმევს კრომველი,[109]
მოუთმენლად რომ ველი?

*

ელიტარულ ტალინში,
მტერს ხედავდნენ სტალინში.

*

ჩვენი ეზოს ბიჭუნებს,
ვერავინ დაიწუნებს.

*

უწყლოდ დარჩა წყალტუბო,
ველარ ქაჩავს წყალს ტუმბო.

*

დოქებს უშვებს აწყური,
არც ტუჩი აქვს, არც ყური.

*

დიდ რუკაზე არტიკამ,
ვერ იპოვა არქტიკა.

*

ჯულიეტა მაზინამ,
გააკოტრა ხაზინა.

*

ტყეში გასულ სარდიონს,
პოლიციამ სად სდიოს?

*

მეფის პატიჟს აპირებს,
არად აგდებს სხვა პირებს.

*

მეთაურთა სამიტზე,
ტიტო იყო სამი დღე.

*

ვინახულე მარტყოფი,
არ ვიყავი ნამყოფი.

*

აწყდებოდა პრობლემას,
ვერ სწავლობდა ორ ლემას.

*

თამაშობდა კორსეტში,



გაიოფლა ორ სეტში.

*

რიგგარეშე სხდომაზე,
ბჭობა ჰქონდათ ძლომაზე.

*

ფეხბურთელი ვიერი,
სულ არ არის ხნიერი.

*

წარმტაცია ოდესაც,
იქ ვსწავლობდი ოდესღაც.

*

წიგნი ვნახე საჭირო,
ავტორია შაპირო.

*

აგროვებენ, კაბელებს,
დენი გაჰყავთ კახელებს.

*

გამოჰკიდეს ფირნიში,
დააწერეს “ფინიში”.

*

ჯულიეტა მაზინა,
იყო ჩვენი მაზრიდან.

*

ვერ ვიპოვეთ საბრინა,[110]
უყიდია სხვა ბინა.

*

სამოსანი ჩანტლაძე,
არ მივიდა ჩათვლაზე.

*

შტაბის ყველა მარშალი,
არის დიდი მაშვრალი.

*

ზეგ იყიდის ფაჩუჩებს,
და შვილიშვილს აჩუქებს.

*

ალექსანდრე ნეველი,[111]
შვეციელთა მნგრეველი.

*

კომპოზიტორ ლაღიძეს,
დილით ჩიტი აღვიძებს.

*



ეხმარება რუზველტი,
რაღა უნდა რუსს მეტი.

*

ჩქიმ ლავრენტი ბერიას,
თავზე ორი ღერი აქვს.

*

გახსნეს სუპერმარკეტი,
ფიგურული პარკეტით.

*

მეგობარი მურმანი,
არის დიდი გურმანი.

*

მანჯავიძე მურადი,
მებრძოლია გულადი.

*

ალქიმიკოს ფარმაცევტს,
აღარ უხდის ფარნა ცენტს.

*

ჯოხარიძე ლარისა,
არის გლეხის გვარისა.

*

ბალისტიკურ რაკეტებს,
პენტაგონი აკეთებს.

*

უფრთხილდება ერთ სიტყვას,
არასდროს არ ეტყვის სხვას.

*

უფრთხილდება შავ თვალებს,
ატარებს მზის სათვალეს.

*



გამარჯვებულს, ჩემპიონს,
მიართმევენ ჭრელ პიონს.

*

დაუჟანგდა კარკასი,
დაიშალა ბარკასი.[112]

*

უტიფარი სარკაზმი,
არის ღვარძლის საკაზმი.

*

შემიყვარდა მოდელი,

პაემანზე მოველი.
*
ბარში როა ბარმენი,
ძლიერ მოსწონს კარმენი.
*
ჩვენ თუ გვყავდა გირშელი,
ფრანგებს ჰყავდათ მიშელი.
*

კომპოზიტორ ბეთხოვენს,
პარტიტურა ვერ სთხოვეს.
*
ჩოგბურთელი ვებერი,
სულ არ არის ბებერი.
*
ჯარს ბარკლაი დე ტოლი,[113]
მართავს მეფის ზეწოლით.
*
ატყდა დიდი სკანდალი,
ცოლს ესროლა სანდალი.
*
შეაჩვენეს ლოცმანი,[114]
ეშლებოდა ლოცვანი.
*
რად ასწავლე "შატალო",
შე უღმერთოვ, "შაკალო".
*
ვინც ბრძოლებში რაინდობს,
მას ყოველთვის რა ინდობს.
*
შეაფარეს განდი ტყეს,
დაედევნენ ბანდიტებს.
*
მეკარე გვყავს კიტია,
ქშინავს თითქოს "კიტია".
*

ექსპრეზიდენტ ჯეფერსონს,
ცხვირი უგავს ბებერ "სლონს".
*
წვერმოშვებულ მეტრეველს,
ამსგავსებენ მეტყევეს.

*
ჰკითხეს ლაუაზიეს,
რატომა ჰგავს აზიელს.
*
ფიცი მისცეს ერეკლეს,
მტერს შუბები მერე კრეს.
*
მეც მიკვირდა, რომ დელში,
არ შევსულვარ ბორდელში.
*
ვიცი დანამდვილებით,
კვნიტა დანა კბილებით.
*
ვის ეხვევა მარია?
ალბათ მისი ქმარია.
*
იქ იბრძოდა გვარდია,
სადაც ეკალ-ბარდია.
*
დღეს მოელის საცოლეს,
თვალი ჰკიდა საწოლებს.
*
რომ გამოჩნდა მაყარი,
გაახურეს მაყალი.
*
გემი შედის ყურეში,
ქარი წივის ყურებში.
*
ჩარკვიანი ჯანსული,
პოეტია ჯანსაღი.
*
მუზა მოსდის ქვარიანს,
ცას რომ უცქერს მთვარიანს.
*
დღეში სულ ჭამს ერთ კილოს,
კუჭი რომ არ ეტკინოს.
*
კოვზს არ მაძლევს მურადა,
რომ შევჭამო მურაბა.
*
ხორცი უყვარს დვალიშვილს,



დაუტოვა ძვალი შვილს.
*
დავივიწყეთ მაზრობა
მოვამრავლეთ ბაზრობა.
*

შვილიშვილი მაცინებს,
დღედაღამ არ მაძინებს.
*
შეურაცჰყო მადრიდი,
არ იცოდა მან რიდი.
*
გადაიხდი საფასურს,
ისე, როგორც საბას სურს.
*
რუსი ბომბავს ომალოს,
ფაქტს კი, ცდილობს, რომ მალოს.
*
მალხაზ გადალენდია,
"ფორსობს" — განა დენდია.
*
ყველას მოსწონს ნათია,
ის მზესავით მნათია.

## უვარგისი

უვარგისი კაცია,
გამოლეტი და ტაცია,
საქმით არის ცაცია,
სულ ნიღაბი აცვია,
მგონი არც აქვს ნაცია,
ფერმკრთალი და ბაცია,
მადლისთვის ზარმაცია,
სხვის ქორწილში ვაცია.
*

მანქანაა "პარტერში",[115]
ზეთი არ აქვს კარტერში.
*
კუნთებძლიერ დაუშვილს
ჭიდაობას და უშლის.
*
არ ესწრება სამიტებს,
პატივსა სცემს სხვა მითებს.

*
შამანაანთ მარიკას,
ლოთბაზარა ქმარი ჰყავს.
*
ვინც შეაქო არსენა,
გამართული აქვს ენა.
*
ჯიბრით სავსე ბეც ხარატს,
ვერ აცმევდნენ სპეცხალათს.

## არაერთგვაროვანი რიტმით

სანთელი ანთებს ამბიონს,
არაფრად არ აგდებს ლამპიონს.
*
სურდა მოხვედრა ეკლესიაში,
არ შეიყვანეს თეკლე სიაში.
*
საქართველოს სჭირდებაო
სამი სრესი,[117]
თურმე ამბობს პარლამენტის
სამი სქესი.
*
გამოსტყუა წვალებით,
მოსკოვს ემიგრაცია,
საფრანგეთის ქალების,
მოსწონს ემილის გრაცია.
*
საზრუნავი ბევრი ჰქონდა დადიანს,
მაგრამ მაინც ვერ ნახავდით
დარდიანს.
*
სულ გაყიდა, რაც რომ ჭედა მან
დილით,
ნალი, წალდი, თოხი, დანა, ბარები,
ცოლს უყიდა აბრეშუმის მანდილი,
კიდევ სხვა რამ მისი დანაბარები.
*
შაურ-შაურ შეაგროვეს აბაზი,

გაისტუმრეს სქელკისერა ხაბაზი.
*

სასწაულთა საუკუნე ილევა,
ღვინო, ღვინის ჭიქით აღარ ილევა,
"განსხვავებულს" ეძებს ბავშვიც
პატარა,
ისა კაცობს, ვინც დრო სმაში
ატარა.
*



ვერ გაიგებ კაცია თუ კაცუნა,
დასალეჭი კევი გაატკაცუნა.
*

ნახარშიდან მოსახდელი ქაფია,
ჩვენი ქვეყნის ხალხმრავალი მაფია.
*

ვერ ვიტან იმათ წუწუნს,
ვინც ვერ ეთმობა თუთუნს.
*

ორპირობაზე მეთქმის:
"არის ღალატი ღმერთის".
*

ვერც ჭორაობას ვიტან,
კაცს რომ გადიყვანს გზიდან.
*

ამბიციური პირის,
უგუნურობა ყვირის.
*

კაკბების კუტკუტს მთაში,
ვერ გავცვლი ვერც ერთ ხმაში.
*

გაუთხოვარი ქალი,
არის ოჯახის ვალი.
*



პატრონი გახდა მიწის,
ვინც არაფერი იცის.
*

ვინც ვერ შეაქო მანდილოსანი,
ის არ ყოფილა ნაღდი მგოსანი.
*

რადგანაც ფასობს დანა შაური,
მიტომ მომრავლდა დანაშაული.

*

სულ მოგზაურობს ასათიანი,
მხარე არ შეხვდა არსად მთიანი.
*

თემურ ლენგი, თუ ჩინგიზ ხანია,
სულ დაგვავიწყდა დიდი ხანია.
*

ეჭვი ღრნიდა საბას გულში,
რომ ნაღმი დევს საბარგულში.
*

გვერდით რომ იჯდა ამაშუკელის,
თურმე ყოფილა მამა შუკერის.[118]
*

შეუტია ტარიელმა ავთანდილს,
არ დაგაცდი, ძმაო ჩემო ახლა
ძილს.
*

სიხარბე ღრღნის ვერცხლის
შოვნის,
ეშინია განა რისი?
ვერც დაიჭერს, ვერც იპოვნის,
გინდ ჰოლმსი, გინდ კანარისი.[119]
*

სტუმრად ვიყავ ნათესავთან
რუსთავში,
კოკით მხარზე გოგო ვნახე რუს
თავში.
*

რომ არ ეშვები დავი-დარაბას,
იმიტომ დასცხე თავი დარაბას.
*

მომეწონა რესტორანი "ლასვეგასი",
მიმასპინძლე, გაიხსენე რაც მე
გასვი.
*

ბრახუნობს და ბაგიბუგობს დაირა,
საცეკვაოდ გაიწვიეს ზაირა.
*

მაშინ ილება კარი
როცა დარეკავს ზარი.



## შაბათობაზე

ჯერ გადაწყვიტეს სხდომაზე,
მერე კი სკვერებს მოედნენ,
მტვერი ჩაყლაპეს ძლომაზე,
ასუფთავებდნენ მოედნებს.
*

სურამში აქვს საქმე მეტად საშური,
სადაცაა გამოჩნდება ხაშური.
*



არ გვავიწყდება ჩვენი
წარსული,
რადგან კარგია – ბევრი
წასული.
*

თონეში ცხვება კარგი ლავაში
არა ვულკანურ და მკრივ ლავაში.
*

სიკვდილამდე მერიაში ირბინა,
მაგრამ მაინც ვერ მიიღო ის ბინა.
*

თავს იცავდა, მუდამ ჰქონდა
არგუმენტი,
საკმარისი – არც ნაკლები,
არც თუ მეტი.
*

ლეონიდ კუჩმა, გატანჯა კუჭმა.
*

გეიდარ ალიევს, ნავთობი ალიეს.
*

მღერის კლინტონი, მისცა კრინს
ტონი.
*

უიტსონ ჩერჩილს, სტალინი ერჩის.
*



თავმჯდომარემ გადაჭამა შინდისი,
როგორცა ჩანს არ ჰქონია სინდისი.
*

ჟოზეფინა ისე უყვარს,
ნაპოლეონს,[120]

ღ1ოგორც ჩემი მეზობელი ნატო–
ლეოს.
*

დღედაღამე მუხტის გამო ილონეს,
როგორც იქნა მუხტი გამოიგონეს.
*

საღამომდე კამათობდნენ ყასბები,
თუშია თუ მთიულია ყაზბეგი.
*

ოკეანეს, სადაც ერთვის ნილოსი,
ბუნგალო დგას მშვენიერი ნინოსი.
*

ჩურჩხელებით გამოტენა ჩანთა,
წიგნები და რვეული არ ჩანდა.
*

დღეს მხიარულობს მანაშეროვი,
ცოლად შეირთო მადამ შერონი.
*

რუქას უჯდა ვერ გაუგო მასშტაბი,
ცოტა ხანში აუფეთქეს მას შტაბი.
*

თავი გაართვა მარტოხელობას,
საგრძნობ დროს უთმობს
ავტოხელობას.
*

შავი ღრუბლების მეუფეს
ეშმაკმა ნეტავ რა მისცა,
ჭექა-ქუხილი შეუქეს,
ჩამოანგრია ლამის ცა.
*

ვისაც რომ შარი ექცა ხეირად,
ალბათ თავსა გრძნობს ის
არხეინად.
*

ლექსები მოდის ნიაღვარივით,
გული ხმაურობს ნიაგარივით.
*

სულ მოკლე საუბარში
სიტყვა "კაროჩე",
ხუთმეტჯერ მაინც შემოაგდო
ენის კალოზე,

მისი ნათქვამი იქნებოდა
უფრო "კაროჩე",
რომ მოესურვა სიტყვის ძებნა
ქართულ თაროზე.
*
ძაღლის ძვლისაა ეს კამათლები,
თუ არ მოვიდა რას ემართლები.
*
თავს რომ დაესხნენ
სართიჭალაში,[121]
მაშინ დამალა ნართი ჩალაში.
*
საუბარში ისე იყვნენ გართულები,
შეუმჩნევლად ჩაიარეს სართულები.
*
სირბილში იყვნენ "მედლენნი",
და ვერც მიიღეს მედლები.
*
ვერ გაიყვეს კალეიდოსკოპი,[123]
და დაასვა კალემ ილოს კოპი.
*
გაამზადეს ფუნდამენტი,
არ იკმარეს, უნდათ მეტი.
*
ბოლმა აზრჩობს ვასნეცოვს,
რომ ღალატობს მასნე ცოლს.
*
პეტერბურგში დგას "ბრინჯაოს
მხედარი"
მტრის ჯინაზე იგი დღესაც მხნედ
არის.
*
მექისეს უბლვერს კვარაცხელია:
"წყალი დაკეტე, კმარა – ცხელია".
*
ვინც რა უნდა თქვას,
წისქვილმა კი ფქვას,
ამ წისქვილის ქვას,
ვერ ვენდობი ქმარს.
*
ჩქიმ ლავრენტი ბერიას,





მტერი ძლივს მოერია,
როგორც ბევრგან წერია,
შექმნა ბომბთა სერია,
მსოფლიო დაზვერვაშიც,
მისი ხელი ერია.
*
არ მოაკლეს ხან ყანწი და ხან
ჭიქა,
მალე დათვრა საპოჟნიკი "ხაჩიკა".
*
რეჟისორია გულსუნდა,
ისეთი, როგორც გულს უნდა.
*
მიღწევა მეცნიერისა, სიამაყეა
ერისა.
*
შემოიარა სუპერმარკეტი,
მერე მოაწყო მსუყე ბანკეტი.
*
ჰა, ეშველათ უიმედო იმპოტენტებს,
გამოშვება "ვიაგრისა" იკრებს
ტემპებს.
*
არაყს ეტრფოდა ნიკიტა კუჩმა,
ჩხვლეტა დაუწყო შიგნიდან კუჭმა.
*
წარღვნას გვპირდება
ნოსტრადამუსი,[124]
არა ჰქონია "პროსტა" ნამუსი.
*
რა სამსახურია ეს სტრატეგიული,
მდივნად რომ ივარგებს ესტატეს
გიული.
*
პრიზი მისცეს ფლოს,[125]
ბურთს რომ კარგად ფლობს.
*
ისე წახდა ლაშა, არ ჰყოლია ნაშა.
*
მთელ სიცოცხლეს ზურგზე ედგა
კურტანი,



დაჩიავდა და გაუხდა კუს ტანი.
*
ბიკენტი სარჩიმელიას,
იაფ ფასებში "მელი" აქვს.
*
როიალს უკრავს მუსორგსკი,
შენ კი ურნებში "მუსორს" ყრი.
*
რაფსოდიები ბოროდინისა,
საამოა ვით ბოლო ღვინისა.
*
მაჯადოებს მუსიკები ბახისა,
ვით სურნელი ყვავილოვან ბაღისა.
*
იყიდება მუსიკები გრიგისა,
ფირფიტები ნაწარმია რიგისა.
*
ქარხნის კლუბში დაუკრავენ
ბეთხოვენს,
მესვეურებს სხვა დარბაზი ვერ
თხოვეს.
*
უნდა დაუკრას შოპენი,
მოიწესრიგა, შნო ფერი.
*
ფიქრში ტკბებოდა შუმანით,
ვერ გამოაცხო შუ მანით.
*
თოფის სროლა არ უყვარდა
ფალიაშვილს,
ამიტომაც ჩამოართვა ფალია
შვილს.
*
ღერო არ ვარგა დანდურის,
გამოსათლელად ფანდურის.
*
"გლავბუხი" ბალანჩივაძე,
ადგენდა ბალანსს თივაზე.
*
ვერ იქნა, ვერ აირჩიეს კანცლერი,





არ გამოდგნენ არც ჰანსი და არც
ლერი.
*
რომანები არ უყვარდა კაიზერს,
ამიტომაც ვერ იტანდა დრაიზერს.
*
მანქანა, რომ შევიძინე ტოლიატში,
როდის იყო? – "ტოლი" ცხრაში,
"ტოლი" ათში.
*
არ სცალია ლაცაბიძეს,
დაუტოვა გვანცა ბიძებს.
*
გაიზარდა ქალაქი,
და მომრავლდა დალაქი.
*
სათევზაოდ თან წაიღო ტალ-კვესი,
მთავარი კი დაავიწყდა – ანკესი.
*
ათ დღეს ვიყავი მალაზიაში,
არც კი შევსულვარ მაღაზიაში.
*
რეჟისორი ამაყობდა ჩართოლანით,
მხატვრულ ფილმში გადაიღო
ფართო პლანით.
*
ნაცნობებში იყო ერთი,
არ მოსწონდა იგოეთი.
*
სურს, რომ ეწვიოს კალიფორნიას,
იქ, თურმე ზღვისპირს კარგი ფონი
აქვს.
*
უმუშავრად დარჩა დიდი
ასტრონომი,
საარსებოდ სახლში გახსნა
გასტრონომი.
*
გოგომ თვალით გამოზომა მანძილი,
ორ ბიჭს შორის ჩამოაგდო
მანდილი.

*

გაიარა შორეული მანძილი,
და ვერაფრით მოახერხა მან ძილი.

*

სადაცაა გამოჩნდება  უგანდა,
წინ ძმა მიდის, მიჩანჩალებს
უკან და.

*

ერთ საათში თბილისშია
“მარშუტკა”,
არ გეგონოთ არც შაყირი, არც
“შუტკა”



*

ფეხბურთელი არ მინახავს უარესი,
ვიდრე არის მექსიკელი სუარესი.

*

გერმანელი ფეხბურთელი
შელინგერი,
არის თურმე მსახიობი შელის გერი.

*

კახურ ღვინის ეშხი ართობს
თანდილას,
ყანწით წრუპავს ხან საღამოს, ხან
დილას.

*

ვერ იძლევა კარგ მოსავალს
გაჩიანი,
ვაშლი მოდის უსახური
და ჭიანი.

*

წუხს რომ ცხოვრობს მრუდ
ხანაში,
დარდს იქარვებს ლუდხანაში.

*

ჩააბარა ჯართი, შეისყიდა ნართი.



*

პონერთა ბანაკებს, ძია ვანო
განაგებს.

*

მაღაზია აქვს აბასთუმანში,
იგებს სულ თორმეტ აბაზს
თუმანში.

*

ჩვენია კოპენჰაგენი,
და რას იყოფენ მაგენი?

*

ლამაზია, წარმტაცია ჰინგისი, [126]
ვინც მოუგებს, არ ჰქონია სინდისი.

*

აკადემიკოს დავითაია,
მეცნიერების კაი თავია.

*

სტანისლავ შვარცენეგერი,
ყოფილა მარჯვე ეგერი.

*

როზა კაბებს მალე კერს,
კოხტად არგებს მანეკენს.

*

ეზოში უცბათ გახ̀მა აგავა,[127]
დიასახლისმა ცოცხით აგავა.

*

სიჭაბუკეში ხატავს რაკურსით,
რომ გაიზრდება — წავა რა
კურსით?

*

დიდი კაცია “მაყუთიანი”,
პისტოლეტიც აქვს მაყუჩიანი.

*

მოჭარბებული ნაციონალური,
როდია ყოველთვის რაციონალური.

*

ქართულ ჩაის ბევრი კატეხინი
აქვს,
სახელი კი უკვე გატეხილი აქვს.

*

გოგო მოსტაცეს მაკარს,
ბოლმით უყურებს მაყარს.

*

აკრეფინებს ჰაიდუკებს,[128]
დილაობით – ჩაის დუყებს.

*

ბურთი ფეხზე თუ მოერგო



მაცოლას,
კარის დაცვა ვერ გაუძლებს
დაწოლას.

*

ზღვისპირეთში კურორტია
მასანდრა,
გასულ ზაფხულს ისვენებდა
კასანდრა.



*

პარტიზანებს უფროსობდა კოვპაკი,
გამოწვრთნილი ძაღლიც ჰყავდათ
– ქოფაკი.

*

სიგარეტი “კენტი”,
ღირს ოთხმოცი ცენტი.

*

არ ასცდება ფათერაკი,
ტახს ესროლა ბადე რაკი.

*

ფეხბურთის გუნდ “ოდიშს”,
მსაჯი უხდის ბოდიშს.

*

ახმაურდა მთის სოფელი ნაგომარი,
შინ დაბრუნდნენ ვაჟკაცები
ნაომარი.

*

გაეკიდა მოსე ყვავებს,
ხტოდა როგორც მოცეკვავე.

*

წყლის გადაღმა სამფლობელოს,
არ უთმობენ სანდო ფელოს.

*

მუსიკათმცოდნე მაჭავარიანს,
დღეს ურჩევნია რაჭა – ვარიანს.

*

შეჯიბრებაზე იყო მილანში,
ზუსტად ესროდა ილო მიზანში.



*

უკვეთავენ ლაზარეს,
ჯარისკაცის მაზარებს.

*

ბათქა-ბუთქით ჩამოცალა
პატრონტაში,
ალტაცების დააყარეს პატრონს
ტაში.

*

რეალურად შეაფასა ალიანსი,
ასე ფიქრობს – გამარჯვების არის
შანსი.

*

გაგვიმასპინძლდნენ თათარიახნად,
გემრიელად და თანაც იაფად.

*

კოშკი ეიფელისა, არის ერთი
ფერისა.

*

ტარიელ სულაკაურმა,
შეჭამა – სულაც  ყაურმა.

*

ქარებს და წვიმებს ვერ
გაუძლო მისმა ნაშენმა,
და სადღეგრძელო მაინც
შესვეს “ღირსმა” “ნაშებმა”.

*

ძიება მიჰყავს კომისარ მეგრეს,
ვერაფერს აკლებს ლომისგვარ
მეგრელს.

*

მიწა აქვთ სოფელ ბაგებში
ნამყენებს ფლობენ ბაღებში.

*

ფოკუსი თუ ჩაუვარდა – ვაი კიოს,
ხუმრობაა -- კაცი გაშპეს საიქიოს.

*

აჩხაკუნა აპარატი კახეთში,
ელაფერი გადაიღო კარგ ხელში.

*

მეტოქე გაინაპირა,
მკერდში ატაკა რაპირა.

*

მოიყვანს დიდ მოსავალს,

გაისტუმრებს მოსე ვალს.
*
მთას წავიდა ელიზბარი,
მის მშრომელ ხელს ელის ბარი.
*
სანადიროდ წასულიყო ტარიელი,
საღამოს კი შინ დაბრუნდა
ცარიელი.
*
შემოესმა ბრახა-ბრუხი,
საბუდარში ნახა კრუხი.
*
მოუთმენლად მოელიან
დღესასწაულს,
ხალხი ტალღად მიაწყდება
ზეზვას აულს.
*
მათე ისე ჰგავს სპირიდონს,
როგორც პატარა სვირი — ბონს.
*
სურათზეა გენერალი სიმუსი,
ქუდი ადევს, გეგონება "პრიმუსი".
*
აფრიკული ქვეყანაა ზამბია,
იქ მცხოვრები განა ყველა ზანგია?
*
ძლიერ მოუხდა მადაგასკარი,
აღარ ემდურის მადას გასპარი.
*
ხელში უცბად აუფეთქდა დინამიტი,
არ გეგონოს გინდ იგავი, გინდა
მითი.
*
ფლიდობს ელიზბარ გოგრიჭიანი,
შემოგვაპარა გოგრა ჭიანი.
*
გაგვიმასპინძლდა მაჭავარიანი,
ბლომად შეგვასვა ჭაჭა გვარიანი.
*
პრემიაზე წარვადგინეთ
პასტორალი,129
გავიმარჯვეთ, დაგვირიგეს
"პა სტო" ლარი.
*
ალბათ გიყვარს ხვანჭკარა,
რომ სვამ ასე ჩქარ-ჩქარა.
*



ღვინო უყვარს "ტვიში",
უცბათ ურტყამს ტვინში.
*
თარსი კაცია გორდეზიანი,
ყოველ მის საქმეს მოსდევს ზიანი.
*
მეზობლები ვერ იტანდნენ
კალისტრატეს,
გაბრაზებით აგინებდნენ კარგის....
*
ბევრი უსვია ნარზანი,
სლოკინს გადაყვა ტარზანი.
*
პატივს სცემდნენ მუხრან
მაჭავარიანს,
შეუწვავდნენ მუდამ ტაბაკ-ვარიას.
*
ამაყობს მახარაშვილი,
ჰყოლია მამას რა შვილი.
*
თონის კედლებს ჩამოახსნა, ლავაში,
ისე დასცხა, თითქოს იწვის
ლავაში.
*



შენ ვერაფერს ვერ დაგაკლებს
ქარტეხილი,
თუ გენებით და ბუნებით
ხარ კეთილი.
*
მეკუბოე ვერა გუობს არამზადებს,
თუ კვდებიან, მათთვის კუბოს არ
ამზადებს.
*
სულ ასარჩევი საქონელია,
საქო არ ჩქარობს, საქო ნელია.



## განმარტებები:

1. იტალიელი საოპერო მომღერალი
2. გურიაში გავრცელებული მსხლის ჯიში
3. ამერიკელი ესტრადის ვარსკვლავი
4. სოფელი შიდა ქართლში
5. სოფელი ბორჯომიდან
6. ბერკეტის მსგავსი მოწყობილობა
7. ალ. დიუმას გმირი
8. ქვეყანა აფრიკაში
9. "პარიზის ხვთისმშობლის ტაძარის" პერსონაჟი
10. იმპერატორების ტიტული გერმანიაში
11. შტატი აშშ-ში
12. კურორტი კახეთში
13. გემი
14. გვარია
15. მდინარე აფხაზეთში
16. კომპოზიტორი
17. სოფელი გურჯაანის რაიონში
18. მცენარე – ერთგვარი პალმა
19. ელექტრონული მოწყობილობა
20. ორკორპუსიანი ნავი (იახტა)
21. სოფელი აჭარაში
22. კურორტი შავ ზღვაზე
23. კომპოზიტორი
24. ილუზიონისტი
25. ღვინის მარკა
26. სოფელი გარე კახეთში
27. ადგილი ესპანეთში
28. შტატი აშშ-ში
29. სტადიონი მოსკოვში
30. ფრანგი მწერალი.
31. ე.წ. "შტეფსელი"
32. მსოფ. ექსჩემპიონი ჭადრაკში.
33. უდაბნო
34. სოფელი გარდაბანის რაიონში
35. სოფელი აზერბაიჯანში
36. სოფელი იმერეთში
37. კინოსა და თეატრის მსახიობი.
38. ქალის სახელი.
39. სოფელი ხევსურეთში.
40. რუსეთის ყოფილი მარშალი.
41. სოფელია.
42. ნოდარ დუმბაძის გმირი.
43. მომღერალი.
44. ფრანგი კინომსახიობი.
45. კინომსახიობი.
46. სპარსი პოეტი.
47. ქალაქი რუსეთში.
48. სოფელი კახეთში.
49. კონიაკი ერთგვარი.
50. ვაჭარი.
51. სასტუმროს მსახური.
52. მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი
53. სოფელი გურიაში
54. სოფელი ქართლში.
55. მაუგლის მსგავსი პერსონაჟი.
56. ღვინო ერთგვარი.
57. ძლიერი შტორმი.
58. გვარია.
59. ეკლესია კახეთში (შემაღლებულზე)
60. მდიდარი გლეხები ძველად.
61. გემი
62. მზვერავი (სსრკ)
63. სოფელი სამეგრელოში.
64. ელექტროსაპარსი.
65. ხორცის დელიკატესი.
66. მსხვერპლშეწირვა.
67. გველი ერთგვარი.
68. კინომსახიობი.
69. კინომსახიობი.
70. ქალაქი ყირიმში.
71. ღვინო ერთგვარი.
72. თოფი ერთგვარი.

73. ინდიელთა ტომი.
74. მონღოლეთის სარდალი.
75. კონსერვია ერთგვარი.
76. ვაშლის ჯიში.
77. უმაღლესი კლასის მფრინავი.
78. ქალაქი რუსეთში.
79. ქალაქი.
80. სოფელი კახეთში.
81. სამხრეთ აფრიკაში – ჰოლანდიელი კოლონისტები.
82. მდ. ნაპირიდან თოკებით მიათრევდნენ გემს.
83. მდინარე ქართლში.
84. მანქანის ნაწილი.
85. მოედანი ძველ საბერძნეთში.
86. ოჯახის მფარველი ღვთაება.
87. ფრანგი მსახიობი.
88. ფეხბურთის იტალიელი ფანები.
89. მწვანე ხახვის მსგავსი მცენარე.
90. საფარიკაო იარაღი.
91. სკანდინავიელი მებრძოლები ძვ.
92. გერმანელი ოფიცერი – მზვერავი.
93. ქალაქი იტალიაში.
94. ძველი რევოლუციონერი.
95. მსოფლიოში ცნობილი მონადირე.
96. ციხესიმაგრის კედლებისა და ჭიშკრის სანგრევი მოწყობილობა.
97. სოფელი კახეთში.
98. მდინარე.
99. ესტრადის მომღერალი.
100. მომღერალი, პოეტი, მსახიობი.
101. აშშ-ს ექსპრეზიდენტი.
102. ინგლისის ექსპრემიერი.
103. აშშ-ს ექსპრეზიდენტი.
104. თევზია ერთგვარი.
105. კურორტი ბორჯომთან.
106. ჩრდილოეთის მცხოვრებნი.
107. სომეხი რეაქციონერები.
108. დიდი რუსი ბიოლოგი.
109. ინგლისის სახალხო გმირი.
110. მსახიობი.
111. დიდი რუსი მხედართმთავარი.
112. ერთგვარი ნავი.
113. რუსი მხედართმთავარი.
114. გემის კურსის მაკონტროლებელი.
115. ილეთია ჭიდაობაში.
116. სოფელი შიდა ქართლში.
117. თბოელექტროსადგური.
118. ფეხბურთელი (ხორვატია).
119. გერმნელთა დაზვერვის შეფი.
120. საფრანგეთის იმპერატორი.
121. სოფელი გარე კახეთში.
122. გაზეთია.
123. სათამაშო.
124. წინასწარმეტყველი.
125. ფეხბურთელი.
126. ჩოგბურთელი ქალი.
127. მცენარეა იშვიათი.
128. უნგრელი პარტიზანები.
129. თეატრალური ჟანრი.

რედაქტორი: **ა. ბიძინაშვილი**

მხატვარი: **ბ. ზუბაშვილი**